ეროვნული ბიბლიოთეკა

კვალი

IX წ. საყოველკვირაო გაზეთი. IX წ.

№ 49. კვირა, 2 დეკემბერი 1901 წელსა. № 49.

გაზეთის ფასი: ერთი წლით თფილისში 7 მან., ნახევარი წლით 3 მ. 50 კ.; თფილისის გარეთ ერთი წლით 8 მან., ნახევარი წლით 4 მან., სამი თვით 2 მან., თითო ნომერი – სამი შაური.

სულის მოწერა მიიღება: თფილისში—«წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების» კანცელარიაში და «კვალის» რედაქციაში, თეატრის ქ., № 12. ტელეფონი № 734.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція „КВАЛИ".

შინაარსი: შინაური მიმოხილვა.—სხვა-და-სხვა ამბები.—კორესპონდენციები.— რუსეთის ცხოვრება.—საზღვარ-გარეთ.—წერილი ქუთაისიდან, ისისა. – შემოდგომა, ლექსი ი. ევდოშვილისა.—ოცდა-ექვსი და ერთი, მ. გორკისა, თარგმანი ზ. ჩიჩუასი.— ფრიდრიხ ნიცშე, ა. ჩხენკელისა. – ქართული თეატრი ქუთაისში, S-სა.—სამშობლოს ცაზე, რიგოლეტოსი – ორიოდე სიტყვა აკეთის სკოლის შენობის შესახებ, კ ჭეიშვილისა. – ქართული თეატრი.—ჭლექის სამეფო.—საქველმოქმედო საქმე.—„კვალის" ფოსტა.—განცხადებანი.

მიიღება ხელის მოწერა 1902 წლისათვის

საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო

ნახატებიანი გაზეთი

„ბ ვ ა ლ ი"

(წელიწადი მეათე)

გამოვა 1902 წელსაც ყოველ კვირა დღეს, ერთიდან სამ თაბახამდე.

წლის განმავლობაში „კვალში" დაიბეჭდება მეცხრამეტე საუკუნის მოღვაწეთა სურათები (ევროპის, რუსეთის და ჩვენის) მათი ბიოგრაფიებით. განსაკუთრებული უურადღება მიექცევა ქართველ მოღვაწეებს.

გაზეთი წლიურათ ღირს თფილისში 7 მან., თფილისს გარეთ 8 მან., ნახევარი წლით თფილისში 3 მ. 50 კ., თფილისს გარეთ 4 მან., ხოლო სამი თვით 2 მან. თითო ნომერი სამი შაური. ადრესის გამოცვლა თფილისს გარეთ ღირს ორი აბაზი.

სულის მომწერლებს შეუძლიათ წლის ფული ნაწილათ შემოიტანონ:

ხელის-მოწერა მიიღება: თფილისში, წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარიაში (სასახლის ქუჩა, სთავად-აზნაურო ქარვასლა), რკინის გზის სადგურზე—პირველი კლასის ბუფეტში ესტ. ჩხარტიშვილთან და თვით „კვალის" რედაქცია ი, თეატრის ქუჩა, № 12.

ქუთაისში: მიტროფანე ლალიძესთან და ვ. ბეჟანიშვილის წიგნის მაღაზიაში; ბათუმში კ. თავართქილაძის წიგნის მაღაზიაში და სახალხო უფასო სამკითხველოში; ოზურგეთში და ახალ სენაკში კ. თავართქილაძის წიგნის მაღაზიებში; ჭიათურაში კალისტრატე ჭიჭინაძესთან და ბერიძესთან; უკირილაში ივანე არდიშვილთან. დაბა ხონში—სახალხო სამკითხველოში.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ. Редакція „КВАЛИ".

შინაური მიმოხილვა.

თითქმის ყოველი ქართული საქმე „საზოგადოების" გულგრილობის მსხვერპლათ არის გამხდარი და ამ ბედს ვერც ჩვენი თეატრი აცდა. მიუხედავათ იმისა, რომ საზოგადოთ საქმე რიგიანათ აქვთ მოწყობილი ამ თეატრის სვე-ბედის გამგეთ, ბრწყინვალე საზოგადოებას მაინც ვერ ვხედავთ იქ, ვერ ვხედავთ ვერც ბიუროკრატიულ ინტელიგენციას, რადგან მათ «არ აკმაყოფილებს ჩვენი სცენა», და სანამ თეატრი ამათი შემყურე იქნება, მისი საქმე ვერ მოეწყობა, ვერ გაიმართება წელში. რითიც გნებავთ ახსენით, მაგრამ ამათთვის ქართული თეატრი საქველმოქმედო დაწესებულებას წარმოადგენს და მხოლოთ ეროვნული გრძნობის გასაღიტინებლათ და საპირფეროთ თუ შემოიხედავენ. ამიტომ მათი იმედით საქმის წაყვანა ყოვლათ შეუძლებელია. როგორც სხვა ჩვენი საქმეები, ისე თეატრიც მას უნდა დაუახლოვდეს, ვინც მაში ცოცხალ და გონიერი მოთხოვნილების დამაკმაყოფილებელ საშუალებას და დაწესებულებას ხედავს, მხოლოთ ამათ შეუძლიათ საქმეს ზურგი გაუმაგრონ და არა ფილანტროპიას. ამას მიხვდა დღევანდელი გამგეობა; თვით საქმის ვითარებამ მიაპყრობია აქეთ თვალი, და ქართული თეატრი ხალხისკენ დაიწია. გამგეობის მიერ შემოღებული ფას-დაკლებული წარმოდგენები ჩვენთვის ამის მომასწავებელია. ჩვენ გვჯერა, რომ გამგეობა ამ შემთხვევაში ხალხისადმი კეთილი მისწრაფებით ხელმძღვანელობდა, მაგრამ ნურც იმას დავივიწყებთ, რომ დიდი ადგილი და მნიშვნელობა ქონდა თვით კომერციულ ანგარიშსაც: დღემდინ ქართულ თეატრს მხოლოთ „საზოგადოება" ყავდა სახეში, მაგრამ მისი იმედით შორს ვერ წავიდა და იძულებული შეიქნა სხვისთვის მიეპყრო თვალი. ფასები დაუკლეს, რომ ქანდარის საზოგადოება ძირსაც ჩამოსულიყო, გამრავლებულიყო და ქართულ თეატრში თავისას ეგრძნო თავი. სხვისა რა მოგახსენოთ,

და ჩვენთვის ამ შემთხვევას სიმბოლიური მნიშვნელობაც აქვს, და მით უმეტეს სასიამოვნოა...

საზოგადოთ, ყოველი ქართული საქმე, რომელსაც უნდა იცოცხლოს და ვითარდებოდეს, საჭიროა ხალხს დაუახლოვდეს; სწორეთ იმ ნუჯებს, რომელთა გამოჩენა ისე აშინებს ჩვენი საზოგადოების ერთ ნაწილს (თუმცა შესახედავათ სიცილათაც არ ყოფნით). მხოლოთ მაშინ იქნება განვითარება ნორმალური და საქმეც მკვიდრ ნიადაგზე დაყენებული. მაგრამ საჭიროა მეთაურნი დიდი სიფრთხილით მოეკიდონ საქმეს, ნამეტურ თეატრისას; ისინი არ უნდა გაიტაცოს კომერციულმა ანგარიშმა იმ ზომამდე, რომ «მტარვალზე» და «პარიჟის ღარიბ-ღატაკებზე» დადგეს მათი რეპერტუარი. დრამატიული საზოგადოების უმთავრესი მიზანი ისევ ხელოვნება უნდა იქნეს, კერძოთ ქართული ხელოვნების განვითარება, და თუ ორიგინალებით ღარიბი ვართ, ვისესხოთ, გადმოვთარგმნოთ, გადმოვაქართულოთ, ოღონდ ხელოვნება კი უნდა იყოს თეატრში. შესაძლოა თეატრში მოსიარულეთა აწინდელ კონტინგენტს მელოდრამები და ისტორიული „ტრრრაღედიები“ უფრო მოწონდეს, მაგრამ ამისთვის ხელოვნების დაქვეითების გზას კი არ უნდა დაადგეს ჩვენი საზოგადოება, პირიქით თვით მაყურებელთა გემოვნების განსპეტაკებას და ამაღლებას უნდა შეეცადოს, საუკეთესო საშუალებათ ისევ თეატრი უნდა მიიჩნიოს, და ერიდოს უშინაარსო და ხელოვნებას მოკლებულ რეპერტუარს, რასაც ჯერჯერობით სამწუხაროთ ვერ ვხედავთ.

* * *

კიდევ უფრო სამწუხარო ის გარემოებაა, რომელიც თან დაყვა ფასების დაკლებას. ის მცირე ნაწილი «საზოგადოებისა», რომელიც დღემდინ დადიოდა მაინც თეატრში, ქანდარის ხალხის ძირს ჩამოსვლას შეუშინებია, მათი მეზობლობა უუკადრისებიათ, თვით ფასდაკლებული ბილეთებით სარგებლობაც სათაკილოთ მიუჩნევიათ და სულ აღარ ეკარებიან თეატრს. სამწუხაროა ეს მოვლენა მით, რომ ცოტაოდენი შემოსავალი აკლდება თეატრს, მაგრამ სამარცხვინო კი... თვით შეშინებულთა და დამორცხვებულთათვის არის. ვარწმუნებთ, რომ არაფერ საშიშარს არ წარმოადგენენ თვით მოკლე ახალუხის ამარა მოსიარულენიც და ყოველ შეგნებულ ადამიანს მათმა თეატრში დანახვამ სიამოვნების მეტი არაფერი არ უნდა მოგვაროს. არცა რამ „шокирующее“ (როგორც თითონ ამბობენ) არის აქ, და მათი ჯიბისთვის საკმარის ფასებიანი ადგილებიც მოიპოვება. ვწუხვართ ისევ ამ ბეჩავი გონების ხალხისათვის, თორემ ასეთების თეატრიდან გაქცევა თვით საქმის გაჯანსაღებას ნიშნავს და ჯობს ისევ ნამდვილ მეშჩანებთან გვქონდეს საქმე, ვიდრე მეშჩანური თავმოყვარეობით გაჟღენთილ უკუდო „არისტოკრატებთან“...

* * *

საინტერესო საქმე გაარჩია თფილისის ოლქის სასამართლოს განყოფილებამ ქ. გორში 24 ნოემბერს. საინტერესოა იგი არა თავისი განსაკუთრებული და სენსაციური ხასიათით, არამედ მით, რომ ასეთი საქმეები ერთობ ხშირია, თუმცა კი შეიძლება ძალიან ცოტა იყოს. სამწუხაროც ის არის, რომ საზოგადოებამ მეტათ შეაჩვია ყური რკინის გზებზე მომხდარ უბედურებათ და თუ ადამიანთა საკმაო რიცხვი არ იმსხვერპლა, ყურსაც არ ვათხოვებთ; მსხვერპლი კი ყოველთვის საკმარისია: იშვიათია თვით მატარებლის მსახურთაგანი მაინც არ დასახიჩრდეს, და თუ ყველა გადარჩა, მაშინ სხვა გზით აზღვევინებენ ხოლმე ისევ იმ მსახურთ. ყოველთვის მოინახება ვინმე დამნაშავე, ან მეისრე, ან მემანქანე, ან კონდუქტორი და იშვიათ შემთხვევაში სადგურის უფროსი თუ მისი თანაშემწე და მათ კისერზე ტრიალდება უბედურება, მათგან იღებს საზღაურს თვალებ-ახვეული თემიდა, თუმცა ნამდვილი დამნაშავე სხვა არის. აი ასეთ შემთხვევასთან გვაქვს საქმე გრაკალის სადგურის უფროსის თანაშემწის ი. კეზელის და მის გვერდით მყოფთ ტაბიძის (მეისრე) და იუდინის (კონდუქტორი) პროცესშიაც... განსხვავება მხოლოთ ის არის, რომ აქ მგზავრებიც დასახიჩრდენ და ექვსი საიქიოსაც გაამგზავრეს, სხვა კი ყველაფერი ჩვეულებრივია: დაღალული და ილაჯ გაწყვეტილი სადგურის მორიგე, ვერ ადევნებს ჯეროვან ყურადღებას მატარებლების მისვლა-მოსვლას, კიდევ უფრო დაქანცული მემანქანე ვერ ამჩნევს მეისრის ნიშანს, მატარებელი მატარებელზე გაუშვეს და შედეგი—რამდენიმე კაცის სიკვდილი და კიდევ მეტის დასახიჩრება და უბედურება. ფორმალურათ, რაც უნდა თქვათ, დამნაშავე ეს მოსამსახურე პირებია, უახლობელესი მიზეზი უბედურებისა ისინია, მაგრამ ნამდვილი მიზეზი უბედურებისა და საზოგადოების აღშფოთებისა შვენივრათ განმარტა ბრალდებულის დამცველმა: „რკინის გზებზე გახშირებული უბედურებათა მიზეზი თვით რკინის გზის სამსახურის არა-ნორმალურ ორგანიზაციაში იმალებაო, ამბობს იგი. რკინის გზებზე შრომის ექსპლოატაციის არსებულმა სისტემამ შექმნა ახალი ფორმა მონობისა. მან დაიმონა ადამიანთა დიდი რიცხვი, რომელნიც იძულებული არიან თავისი შრომით მოიპოვონ ლუკმაპური; უკანასკნელ წვენსა სწუწნის მათ, უფანტავს გონებას, აშეშებს და მხოლოთ ამით აიხსნება, რომ ასეთმა დაკვირვებულმა მოსამსახურემ, როგორიც ბრალდებული იყო, ისეთი შეცდომა ჩაიდინა, რომელსაც მეტათ ტრაგიკული შედეგი მოყვა. დამცველის აზრით, საზოგადოებას, იმდენათ ეს ხშირი უბედური შემთხვევები არ აღელვებენ, რამდენათაც ის გარემოება, რომ რკინის გზის ტუზების ცოდვებისა და დანაშაულისათვის პასუხისმგებელი ყოველთვის ეს შრომის მონები გამოდიან, მეისრე და მათი მზვავსი მდაბალი მოსამსახურეები“.

სხვა-და-სხვა ამბები.

ქვაშვეთის ეკკლესიაში, 25 ნოემბერს, გარდახდილ იქნა წირვა და პანაშვიდი ქართულ დრამატიულ დასის არტისტი-ქალის ბარბარე ავალიშვილისა და სუფლიორის ნ. გალუსტოვის სულის მოსახსენებლათ.

—

თფილისის გუბერნატორმა, თანახმათ ქალაქის საყასპოების მუშების თხოვნისა, წინადადება მიცა ქალაქის გამგეობას შეიმუშავოს სავალდებულო დადგენილება, რომლითაც საყასბოების მუშები თავისუფალი იყვენ კვირაობით 1 ოქტომბრიდან 1 აპრილამდე, რადგან ამ ხნის განმავლობაში ხორცის ორი დღე შენახვა შესაძლებელია, გამგეობამ ამ წესების შედგენა მიანდო ბ. ხოსროევს.

—

27 ნოემბერს თფილისის გუბერნატორმა მიწერა პოლიცმეისტერს, რომ, როდესაც სახალხო აუდიტორიაში სამედიცინო კითხვა იქნება, ან პირუტყვების შესახებ დარიგება, ნება ითხოვონ ხოლმე: პირველ შემთხვევაში საგუბერნიო ექიმისაგან და მეორეში—საგუბერნიო ვეითალისაგან.

—

კავკავის სახალხო კითხვათა კომისიის წესდების ძალით, კომისიის წევრათ არ მიიღება არა-ქრისტიანი. ახლა კომისიას გადაუწყვეტია იშუამდგომლოს მთავრობის წინაშე წესდების ამ მუხლის მოსპობის შესახებ.

—

თფილისის ქალაქის თავის მოადგილე თხოვს თფილისის გუბერნატორს შეატყობინოს, თუ რა მდგომარეობაშია ქალაქის შუამდგომლობა თფილისში პოლიტეხნიკუმის დაარსების შესახებ.

—

თფილისშიაც ფულის სიძვირე ჩამოვარდა არა ნაკლებ, ვიდრე ბაქოში. ზოგიერთი ფირმები ვალებს ველარ იხდიან. „ნოვ. ობოზ.“-ს სიტყვით, ერთ მოვაჭრეთაგანს, კ. კ—ს, რომელსაც დიდი ვაჭრობა ქონდა და თფილისში კაი ფასის უძრავი ქონება, თავის მაღაზია სხვის სახელზე გადაუტანია და ამ დღეებში სრულიად გამქრალა ქალაქიდან.

—

8 დეკემბერს გაირჩევა სამოსამართლო პალატაში ქალაქის ძველი გამგეობის წევრების საქმე.

—

მიწათმოქმედების სამინისტრომ წინადადება მისცა სახელმწიფო მამულების მმართველთ, მიიღონ ზომები, რომ სახაზინო ადგილების მოიჯარეებმა დროზე შემოიტანონ იჯარის ფული.

—

ფინანსთა სამინისტრომ განიხილა ცნობები იმის შესახებ, თუ რომელ ადგილებში რამდენი ღვინო და არაყი ისმევა. ამ ცნობებიდან ჩანს, რომ ყველაზე მეტი არაყი და ღვინო იხარჯება ბაქოს გუბერნიაში, სახელდობრ, ბალახანასა და ნავთის სამრეწველო ადგილებში. აქ თითო კაცზე წელიწადში 10 ვედრო არაყი, 10 ვედრო ლუდი და 20 ვედრო ღვინო მოდის.

—

ცნობილი რუსის მწერლის მ. გორკის მოთხრობა „სამნი“ („Трое“), რომლის დასასრული ვერ დაიბეჭდა, გადაუთარგმნიათ სრულათ ნემეცურ ენაზე და უკვე მეორე გამოცემათ დაიბეჭდა და 30 ათასი ეგზემპლიარი გაყიდულა კიდეც.

—

ბათომში მზარეულებსა და ხელზე მოსამსახურეებს განუზრახავთ დაარსონ საურთიერთო დამხმარე საზოგადოება.

—

კავკასიის სამოქალაქო საექიმო უწყებას განუზრახავს დაარსოს სოფლებში საფერშლო პუნქტები.

—

ბაქოდან იწერებიან, რომ ამ ჟამათ რუსეთის შიდა გუბერნიებში დაკლებული ფასით იგზავნება იქიდან 2,000 უსაქმოთ დარჩენილი მუშა.

—

ქიათურიდან გვწერენ, რომ იქაურ ქუჩებზე გამუდმებული წვიმებისა და თოვლ-ქყაპის გამო საშინელი ტალახია და გაუვალი გუბეები.

—

ქუთაისიდან გვწერენ: ქალაქის გამგეობის მინდობილებით ექიმ დ. გიორგობიანს შეუდგენია ქართულ ენაზე ბროშიურა შავი ჭირის შესახებ. ეს წიგნაკი ხალხს უფასოთ დაურიგდება.

—

როგორც 25 ნოემბრის დეპეშა იუწყება, ხარკოვის სავეტერინარო ინსტიტუტის ქიმიის პროფესორს პირველი კურსის სტუდენტებმა 15 ნოემბერს წერილობითი თხოვნა მიცენ იმის შესახებ, რომ მას თავი დაენებებინა ლექციების კითხვისათვის, რათა მისი ადგილი დაეჭირა სხვა პროფესორს, უფრო „თანამედროვე ცოდნით აღჭურვილს“. ამის გამო საერო განათლების მინისტრის ბრძანებით გამორიცხულ იქმნენ 1-ლი კურსის ყველა სტუდენტები, იმათ გარდა, რომელნიც დაამტკიცებენ, რომ 15 ნოემბერს არ ყოფილან აუდიტორიაში აღნიშნულ ლექციაზე.

—

რედაქციამ მიიღო: 1) «საბრალო კრიტიკოსი. დაგვიანებული პასუხი ბ-ნ Georgiano»-ს თ. კიკვაძისა და 2) „Вступленіе Грузіи въ составъ россійской имперіи“ მიხ. ხელთუფლიშვილისა.

კორესპონდენციები.

დ. ხონი. სხვა სოფლებთან სიმინდურეც მოემატა ხონის ბაზარს. ზოგიერთ ქუჩებში, ხშირათ გვლდაც, შეუძლებელია მეტლეების ცხენების სადგურიდან გამოსულ მყრალ სუნისგან და მედუქნეების წლობით დაუწმენდელ და გაუსუფთავებელ ფეხის ადგილებიდან. ბევრი საქონელიც შუაგულ ბაზარში იკვლება, მაგალითად: დორები, თხები, და მათი სისხლი, ნაგავი, ბაზრის ქუჩებს და დუქნების წინ ტროტუარებს აუწმინდურებს; პურის მცხობლები, ხშირათ ცხენის წყლის ტალახიანი წყლით მოზელილ პურით ასაზრდოებენ სოფლებს, და სასანიტარო მზრუნველები კი ამ მოვლენას ძალიან ცოტა ყურადღებას აქცევენ.

ნისრი, როგორც ვხედავთ, ფორმისთვის გამოუკრავთ; მეყასბეები არავითარ ყურადღებას არ აქცევენ მას, და განსაკუთრებით იმ ხალხს, რომელთაც კვირაში ერთი დღე არგუნა ღმერთმა ხორცით ისაზრდოვოს ორ სამ გაპეიკს მეტს ახდევინებს. საჭიროა მეყასბეების თავაშვებულობასაც მიექცეს ყურადღება.

ილია ბახტაძე.

—

დ. საჩხერე (ზემო იმერეთი). რამდენიმე ათასი სულისთვის საჩხერეში დაარსებული სამკურნალო 1884 წ. ისე უბრალო მიზეზისთვის მოგვაცილეს თავიდან წელს, რომ ჩვენდა სამარცხვინოთ მისი გამხელაც შეუძლებელია. სანამ საქმეს რამე აშველებოდა, არავინ შეიწუხა მისთვის თავი და როცა საქმით მმართველობამ გადაწყვიტა მისი ს. ხარაგაულს გადატანა, მერე კი იკადრეს დაფაცურება, მარა გვიან შეიქნა. სხვაგან ყოველ კეთილ დაწესებულებას თუ ფულით და თუ სხვა შეწირულებით აუმჯობესებენ და აარსებენ, თუ ასეთები არა აქვთ და ჩვენ ჩვიდმეტი წლის დაარსებული წაგვართვეს 1 წიგობისთვიდან და მას შემდეგ ვართ უქიმოთ, რა უნდა გვეშველოს

უმჯობოთ ამოდენა კუთხის მკვიდრთ, მეტადრე ზამთარში, როცა სოფლებში სხვა-და-სხვა ავათმყოფობა გაჩნდება!

აქ ორი სკოლაა: ორკლასიანი სამრევლო სასწავლებელი და ერთკლასიანი სამინისტრო (ბიჭის საზოგადოების); პირველს ინახავს ხაზინა საერობო სარჯით და მეორეს—სოფელი. ამათ გარდა კიდევ ორი რომ გვქონდეს, მსურველებს მაინც ვერ დაკმაყოფილებს. მაგალ., წელს ენგენისთვეში ორკლასიან სკოლიდან ბევრი ბავშვი დაბრუნდა თავლტრემლიანი უალაგობისა გამო. ჩვენდა სასიამოვნოთ, მგონი, ამ ორ სკოლას მესამეც მეამატოს. ახლა ქრისტეშობისთვეში იმერეთის სამეფოლოების დეპუტატთა კრებამ უნდა გადაწყვიტოს ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის ორათ გაყოფა, რადგან ოთხი მაზრის: ქუთაისისა, შორაპნისა, ლეხხუმისა და რაჭის სამეფოლოთა შვილებს ვერ იტევს სასწავლებლის შენობა. მეორე სასწავლებელი უსათუოთ შორაპნის მაზრაში გაიხსნება და თუ საჩხერლები მოინდომებენ და შეშწეობას ამოუჩენენ, დარწმუნებული ვართ სკოლა საჩხერეს არ ატიდებენ, მით უფრო თუ რაჭის მაზრა შორაპნისას არ მოტიდებენ, რადგან შორაპნის და რაჭის მაზრების შუა ადგილი საჩხერეა.

ზემო იმერეთში ოთხი ადგილია, სადაც მკვიდრნი ასაღებენ თავიანთ ნაწარმოებს და იმენენ საჭირო ნივთებს; ზესტაფონი, ხსარი, ჭალითური და საჩხერე. ოთხივე დაბას გარშემო მრავალი სოფლები აკრავს, რომელთა მკვიდრნი კბენების უქონლობისა გამო ძლიერ შეწუხებული არიან დაბებში მისვლა-მოსვლის დროს, მეტადრე შემოდგომა-ზამთარში. დაწუებული ნოემბრიდან აპრილამდინ აქეთკენ ურმით მისვლა-მოსვლა შეჩერებულია და უოველი სანოვაგის მოტანა საჩხერეში წარმოებს ან ცხენით და ან კაცის ზურგით, და ამ მიზეზით უველაფერი ძლიერ ძვირობს. კიდევ რომ ბევრი სანოვაგე შემოიტანონ, აქაური მოვაჭრე ურიები თუ სომხები უსდებიან სალხს წინ დაბაში შემოსვლამდი, ძლიერ ანთვათ ეიდეულობენ მათგან უველაფერს და მერე აქაურ მსმარებლებზე ერთიორათ ასაღებენ. კაჭრების ასეთი საქციელი დიდი სანაა იცის, კეისიც ჯერ არს, მაგრა არავითარ უერადღებას არ აქცევს.

საუულიელი.

რუსეთის ცხოვრება.

საათანადო მთავრობამ დაამტკიცა წესდება სკოლებში შემნასველი კასების დაარსების შესახებ. წესდება მეტათ რთულია და ბრაქტიკულ მნიშვნელობას მოკლებული.

— ამ მოკლე ხანში ფინანსთა სამინისტრო შეიმუშავებს ზომებს სამეურნეო საგნების ფალსიფიკაციასთან საბრძოლველათ.

— უმაღრეს ბელადმა სენატმა განმარტა, რომ ერობათა ერიდობას და საბჭოს არ შეუძლიათ უქმე დღეებში მოელი დღით კაჭრობის ნება მიცენ, კაჭრობის დროს განსაზღვრულათო.

— ქალაქ ბერლინში არსდება მექანიურ წარმოებათა მუშების ერთიერთთა დასმარების საზოგადოება. ამ საზოგადოებას ერთი თავისებურობა ექნება. საზოგადოებასთან არსდება შუამავალი კომიტეტი, რომლის მოკავლეობა იქნება გაარჩიოს უველა ის უთანხმოება, რომელიც თავს იჩენს ან წავრთა შორის ან და წევრთა და გამგეობის შორის. კომიტეტი შედგება სამი კაცისაგან, რომელთაც ირჩევს საზოგადო კრება.

— ამ მოკლე ხანში მაწათმოქმედების სამინისტრო გაგზავნეს ჩაის მცენარის მოვლის და ჩაის დამუშავების სასელმძღვანელოს, რომელიც შეუდგენია ბაქვის საუფლისწულო ამუდების გამგეს ბ. სიმონს. სასურველია, რომ ეს სასელმძღვანელო ქართულათაც გამოიცეს.

— 4 ნოემბერს მოსკოვის საისტორიო მუზეუმში ბრალი. ოზეროვმა გაატანო მუშები, თუ როგორ წესდება მუშებს და კაპიტალისტებს შორის მუშაობის პირობები მუშათა და მწარმოებელთა ურთიერთი შეთანხმების გზით, ესე იგი კოლექტიური პირობები, რომელნიც უფრო და უფრო ვრცელდებიან დასავლეთ ევროპასა, ამერიკასა და ავსტრალიაშიო. ამის შემდეგ საუბარში სულ უველა მუშებმა ერთხმათ გამოცხადეს, რომ სასურველია რუსეთშიაც შემოიღონ შემთანხმებული კამერები, ესე იგი კომიტეტები, რომელნიც შემდგარი იქნებიან მწარმოებელთა და მუშებისაგან. გამოჩნდა, რომ დღეს მუშებს ძალიან უნდათ შეატყობინონ მწარმოებელთ თავიანი მოთხოვნილებანი. გამოიმეკვა, რომ ბევრი უთანხმოების მიზეზია უსუში, უზრდელი და პირადი ინტერესების მიმდევი მეთვალყურე ოსტატი. ბევრ უთანხმოებას წვიკს ეგრეთვე იმ კანონის შეუსრულებლობა, რომელშიც ნაჩვენებია ნაშრომის დაფასების წესები. წინდაწინ, სანამ მუშაობას შეუდგებოდეთ, არ გეთხსნიან მუშაობის ფასს, არამედ შემდეგ, როცა მუშაობა უკვე გათავებულია. ნამუშავარის ნახვას ადგენენ ცალ მხრივ, მხოლოთ მწარმოებელთა სასარგებლოთ. მუშებმა გამოთქვეს სურვილი, რომ იმათ მიეცეს შეძლება გაიცნონ, თუ რამდენია მუშათა სელის მოთხოვნილება და რამდენია წინადადება, საზოგადოთ გაეცნონ მრეწველობის მდგომარეობას; მუშათა და ოსტატთა გინდ ქარხნის ადმინისტრაციის შორის ატეხილ უთანხმოებას არჩევდეს საფაბრიკო ინსპექტორი საგანგებოთ; რომ მოაწყონ საზღვარგარეთში არსებული კომიტეტების მაგვარი; მუშებს ნება მიეცეს, აირჩიონ დეპუტატები ქარხნის პატრონთან მოსალაპარაკებლათ, ოსტატები მიიღონ გამოცდის შემდეგ (შენიშნულია, რომ ტესნიური ცოდნის მქონე პირები უფრო კარგათ ეპურობიან მუშებს) და კიდევ, რომ ნამუშავარის დაფასებაში მონაწილეობა ქონდეს მუშებსაც.

ეკონომისტების კრებაზე 23 ნოემბერს მწარალმა ბობორიკინმა წაიკითხა სინტერესო მოხსენება, რომელშიც მიიზიდა დიდძალი სალხი, სასელათ „მწარალთა ბრალეტარიატი“. ჯერ მან აწერა ის უნუგეშო მდგომარეობა, რომელშიც იმყოფებიან მწარალები, მათი ოჯახი და ობლები, შემდეგ განაცხადა, რომ საჭიროა შედგეს ლიტერატურაში მშრომელთა სინდიკატი, დაარსდეს საერთო წარმომადგენლობა წიგნების და გაზეთების გამომცემთა და თანამშრომელთა, დაარსდეს საზოგადო ეიმერიტარული კასსა და უოველ თვეობით იკრიბოს ფული თანხის შესადგენათ. რადგან არავითარი თანხმობა არ არსებობს კალმით მშრომელთა შორის, ამიტომ მათი მდგომარეობა იმდენით უნუგეშოა, რომ საჭიროა ახლავე შეუდგეთ საქმის მოწყობასო. გარდა ამისა, რადგან მწერლებს არავითარი კოლექტიური წარმომადგენლობა არ ყავთ, ამიტომ გონების მშრომელთა და წარმოების პატრონთა შორის დამოკიდებულების გაწესიერება შეუძლებელია, რაც მათ სრულიად ღვთის ანაბარათ ტოვებს. იმნაირივე ცუდ მდგომარეობაში არიან დრამატურგებიც. ამიტომ რეფერენტი ურჩევს მათ შეუერთდენ მწერალთა სინდიკატს.

— მიწათმოქმედების სამინისტროს შესაძლოთ დაუნახავს, სანამ შეიმუშავებდეს განსაკუთრებულ წესებს, აქედანვე ნება მიეცეს ქალებს სამეურნეო სასწავლებლებში „სწავლონ, ხოლო ისინი მოწაფეებათ კი არ ჩაითვლებიან, არამედ ბრაქტიკანტებათ.

საზღვარ-გარეთ.

გერმანია. იმ პეტიციებში, რომელიც წარუდგინეს რეისსტაგს გახსნისათანავე, ყველაზე უფრო ყურადღებას იქცევს პეტიცია სოციალურ რეფორმების საზოგადოებისა: ეს პეტიცია შეეხება «ქალებისთვის იმ უფლებათა მინიჭებას, რომელნიც მათ მისცემენ საშუალებას მიიღონ მონაწილეობა სოციალურ და პოლიტიკურ მოძრაობაში. ღირს აღსანიშნავია, რომ ხსენებულ საზოგადოებას სათავეში უდგანან იმისთანა პირნი, რომელთაც არ შეიძლება რადიკალი ნოვატორების სახელი ვუწოდოთ, მიუხედავათ ამისა პეტიციაში ისინი კატეგორიულათ თხოულობენ, დროა უარვყოთ ქალებზე ძველი შეხედულობა; ვითომც ქალი უეჭველათ მხოლოთ ოჯახის და თვის დედობრივის მოვალეობათა გარეშე არ უნდა გამოდიოდეს; დროა შევიგნოთ, რომ ქალი არამცთუ დედაა, არამედ ის არის ადამიანიც, პროფესიონალური მოღვაწე თავისი ინტერესებით, რომელნიც მან უნდა დაიცვას ცხოვრებაში.

როდესაც ამ სამი თვის წინეთ პირველათ შეიკრიბნენ სოციალურ რეფორმათა საზოგადოების დამფუძნებელნი, მათ მოწოდებაზე კრებაზე მოვიდნენ გამოჩენილი მოღვაწე ქალები; მაგრამ დამფუძნებელნი იძულებული იყვნენ განეცხადებიათ მათთვის: «გულით გვსურს, რომ თქვენც მიიღოთ მონაწილეობა, ვაფასებთ თქვენ ცოდნას, თქვენ ნიჭს და გულითად სურვილს გაჭირვებულთადმი დასახმარებლათ, მაგრამ სამწუხაროთ არ შეგვიძლია მივიღოთ ჩვენი საზოგადოების წევრათ, იმიტომ რომ პრუსიის კანონი შესახებ კრებებისა და ფერეინებისა ქალებს გთვლის პატარა ბავშვებათ, ბანკროტებათ და ისეთ ადამიანებათ, რომელთაც აყრილი აქვთ უფლება სასამართლოს განაჩენით». მწარე მოსასმენი იყო ეს სიტყვები იმ ქალებისათვის, რომელნიც მოვიდნენ ამ კრებაზე წრფელის განზრახვით შეწირონ თავისი ძალღონე გაჭირვებულთა დახმარებას. მაგრამ საზოგადოებას მაინც არ შეეძლო მიეღო ისინი წევრათ და განუცხადეს მათ, რომ ეცდებიან მათი სურვილის ასრულება უფრო კანონიერათ მოხდეს. მართლაც, საზოგადოებამ შეასრულა თავისი დაპირება და როგორც ზევით მოგახსენეთ, კიდეც წარუდგინა რეისსტაგს ამ საგნის შესახებ პეტიცია.

ღირს აღსანიშნავია ხსენებული პეტიციის დედა აზრი, რომელიც შეადგენს იმ საფუძველს, რაზედაც საზოგადოება ამყარებს თვის მოთხოვნილებებს. სოციალურ და ეკონომიურ პირობათა შეცვლას მოჰყვა ქალების შრომის უღელში შებმაც. დღეს რამდენიმე მილიონი ქალი ცხოვრობს თავის მარჯვენით, თავისი ოფლით და თანდათან უახლოვდება იმ ცხოვრების პირობებს, რომელშიაც ჩაბმულია მშრომელი მამა-კაციც, ხოლო არის იმისთანა წარმოებანი, რომელნიც მთლათ ქალებზეა დამყარებული; არც ერთ სახელმწიფოს არ შეუძლია ჩააბაროს ამოდენა შრომა, როგორც ღარიბების მოვლაა, ან დაპატიმრებულთა ყურის გდება ან სახალხო განათლება, თუ არ იმავე ქალებს. მშრომელ ქალებს საქმის გასაკეთებლათ უნდა მიეცეთ უფლება პროფესიონალურ კავშირებისა, კრებებისა და საზოგადოებების დაფუძნებისა. თუ ამის უფლება აქვთ მამაკაცებს, რატომ არ უნდა ქონდეთ იგი ქალებსაც? ართმევთ რა ამისთანა უფლებას ქალებს, განაგრძობს პეტიცია, თქვენ არამც-თუ მათ უხშობთ გზას, არამედ უფრო იმათაც, ვინც მშვიდობიანობის წინსვლით ცხოვრების გაუმჯობესობის მოსურნეა. რადგანაც ქალის მონაწილეობას შეაქვს საქმეში ჰუმანიური და ღმობიერი გრძნობა, რაც ასუსტებს შინაგან ბრძოლას. აი ოცდა ათი წლის წინეთ, როდესაც პრუსიაში შემუშავდა ზემოხსენებული ქალების შემბოჭველი კანონი, შეიძლება დროს შესაფერიც იყო, რადგანაც მაშინ ქალი იშვიათათ გამოუყავდა ცხოვრებას ოჯახს გარეთ სამუშაოთ, ხოლო ახლა კი მას არავითარი საფუძველი არა აქვს. ის ამ ყამათ დამველებულია და წარმოადგენს მავნებელ ნაშთს ძველის მობერებულის ცხოვრებისას. ამიტომ უნდა მირიანათ შეიცვალოს ეს კანონი, როგორც შეიცვალა თვით ცხოვრება, უნდა შეიცვალოს დღევანდელ ეკონომიურ პირობათა მიხედვით, მას თხოულობს დღეს ცხოვრება და მისი მსხვერპლები, რომელსაც წარმოადგენენ დღეს გერმანელი ქალებიო.

ინგლისი. როგორც ვიცით დოქტორ კრაუზეს, რომელიც ტრანსვაალიდან გამოემგზავრა ევროპაში, რომ სახელმწიფოებისთვის ეცნობებინა, ის მტარვალობა, რომელიც ინგლისის ჯარმა ისმარა და დღესაც ხმარობს ბურების დასამარცხებლათ, ინგლისში შეიპყრეს. მას ინგლისის სამხედრო სასამართლოს განჩინებით მოელოდა სიკვდილით დასჯა, მაგრამ ინგლისისავე საერო სასამართლომ იხსნა კრაუზე ამისთანა სასჯელისაგან. მან რამდენიმეჯერ მიმართა სამხედრო სასამართლოს და უმტკიცებდა მას, რო ის დანაშაულობა, რომელიც ედება ბრალათ დოქტ. კრაუზეს არ ექვემდებარება სრულებით სამხედრო სასამართლოს, და მისი საქმე უნდა განიხილოს საერო სასამართლოს კანონებითო. საერო სასამართლომ კიდეც მიაწია თვის მიზანს და დაიხსნა კიდევ ერთი ტრანსვაალის საუცხოვო მამულიშვილი სიკვდილისაგან. კრაუზეს საერო სასამართლოს კანონით მიესჯება რამდენიმე წლით ციხეში დაპატიმრება.

ლიბერალთა პარტიაში ტრანსვაალის ომის გამო კვლავ განხეთქილება და უთანხმოებაა. თუ ერთმა ნაწილმა ლიბერალთა პარტიისამ თვისი ლიდერის კემბელ-ბანერმანის სიტყვით გამოაცხადა სრული ავტონომიის მინიჭება ბურებისათვის, მეორე ნაწილი სრულებით წინააღმდეგ ამხედრდა და თხოულობს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკების მთლათ გაუქმებას. ამისთანა სიტყვა წარმოთქვა უკანასკნელთა მეთაურმა ედვარდ გრეიმ. ინგლისის ინტერესები თხოულობენო, თქვა მან, რაც შეიძლება მალე მოეღოს ომს ბოლო და მალე შემოუერთდეს სამხ. აფრიკ. რესპუბლიკები სავსებით ინგლისსაო.

საფრანგეთი. ბერების და მონოზნების იმ კონგრეგაციებს, რომელთაც უნდათ საფრანგეთში დარჩენა უნდა წარადგინონ მთავრობასთან ადგილობრივ მუნიციპალურ საბჭოს მოწმობა. სხვათა შორის ქ. კარმუს მუნიციპალურმა საბჭომ ამ დღეებში განიხილა მონოზნების ერთი კონგრეგაციის თხოვნა და დაადგინა ერთხმათ: 1) რადგანაც ეს კონგრეგაცია მავნებელია რესპუბლიკისთვის, 2) რადგანაც აღთქმა, რომელსაც აძლევენ კონგრეგაციას მონოზნები წინააღმდეგია ადამიანის ღირსებისა, და 3) რადგანაც ღვთის მოყვარეობის მასკაში გამოხვეულნი ისინი ებრძვიან რესპუბლიკის წესწყობილებას; ამიტომ ზემოხსენებული კონგრეგაციის თხოვნა არ იქნეს შეწყნარებულიო.

იტალია. წარსულ კვირეებში ქ. ბოლონიაში მოხდა პირველი სხდომა გლეხების კონგრესისა. სხდომას დაესწრნენ გლეხების სხვა-და-სხვა მუშათა კავშირის დელეგატები რიცხვით 700 კაცზე მეტი. კონგრესს დაესწრნენ აგრეთვე ბევრი გამოჩენილი მოღვაწე მუშათა პარტიებიდან. კონგრესის ხელმძღვანელებმა აისრულეს წადილი და დაამტკიცებინეს კრებას წინადადება შესახებ იტალიის ყველა გლეხთა კავშირის შეერთებისა. კრებაზე აღიძრა აგრეთვე კამათი იმის შესახებ, შეუ-

ძლიათ თუ არა ასევ ფედერაციაში შეეიდენ წვრილი მემამულენი. სოციალისტთა წარმომადგენელნი ამის წინააღმდეგნი იყვენ, სოლო უმრავლესობამ შეიწყნარა წვრილ მემამულეთა გლეს მუშების ფედერაციაში შესვლა იმ აზრით, რომ ამ უკანასკნელთაც ჭირიათ დასმარება კაპიტალისტებთან საბრძოლველათო. კრებაზეკე იყო აღნიშნული რომ, ასევეა ნაციონალურმა კავშირმა უნდა გაითვალისწინოს სოფლის მეშათა დაზღვევა უბედურ შემთხვევათაგან, უნდა ეცადოს, რომ დაკანონებულ იქმნას გლეს მუშათა კავშირები; გლეს მუშათა კავშირებმა უნდა იქონიონ ერთობა ქალაქის მუშათა პარტიებთან, უნდა დაარსდეს სამედიცინო სასამართლო სამუშაო საქმეთა გამოსაცემად კითხვების გადასწყვეტათ და სხვ.

სერბია. სენატორმა პავლოვიჩმა სენატის სხდომაზე წარადგინა წინადადება, რომ არჩევნების უფლება ქალებსაც მიეცეთ. სანგრძლივი კამათის შემდეგ ათი ხმის უმეტესობით წინადადება არ იქმნა შეწყნარებული; წინადადების მომხრე იყვენ მიტროპოლიტი და ეპისკოპოსები.

ოსმალეთი. როგორც ვიცით, ოსმალეთი, იმის შემდეგ, რაც მის ტერიტორიაზე გადმოვიდა გემებიდან 2000 საფრანგეთის ჯარის კაცი, დაემორჩილა საფრანგეთის მოთხოვნილებებს; ასე რომ დღეს ეს ჯარი უკვე დაბრუნდა უკან ე საფრანგეთში და ამ გარემოებამ, ეტყვა არ არის, აამაღლა საფრანგეთის პოლიტიკური ძალიერება მცირე აზიაში და თვით კონსტანტინოპოლშიაც; მაგრამ ამავე გარემოების მეორეებით მწარეთ მოტეეედენ ოსმალეთის ქვეშევრდომი სომხები. მიზეზი ამისა ის იყო რომ, როდესაც საფრანგეთმა წარუდგინა ოსმალეთს თვისი პირობები და ითხოვდა ამ პირობების სისრულეში მოყვანას, სომხებს ეგონათ, რომ ამ პირობათა შორის იქნება აგრეთვე მოთხოვნა მათის მდგომარეობის გაუმჯობესობისა და იმ უფლებათა აღდგენისა, რომელიც მათ წარეთვათ 1896 წ. და ეროვნულისოთაც მათი ცხოვრება დღეს აუტანელ ტანჯვას წარმოადგენს. მაგრამ საფრანგეთმა აისრულა მხოლოთ თვისი გულის წადილი და აიგრიბა გულ-ნაბადი, სოლო სომხებს კი დღემდის ისევ აწრამლული აქვთ გვიდენ გარეთ თვეს საცხოვრებელ ქალაქ-ადგილებიდან, აგრეთ შენობები, შეერიბოს ფული რაც ძალეთ და სხვ. ამ უფლებათა ჩამორთმევამ გამოიწვია საძინელი სიღარიბე იმ ადგილებში, სადაც დღეს სომხები მოსახლეობენ, დაეცა ვაჭრობა, აუარებელი მიწები არის დარჩენილი დაუმუშავებლათ და საზოგადოთ იმდენათ შეეწროვდა სომხობა დღეს ოსმალეთში, რომ ბევრი მათგანი ისლამაა საწყენოებას დებულობს.

ჩინეთი. როგორც გვ. „ტაიმსი“ იტყობინება, ჩინეთი იძულებული გახადა იაპონიამ, რომ მოეხსნა მას ეოველივე მოლაპარაკება რუსეთთან მანჯურიის შესახებ. იაპონია შეტადრე იმის წინააღმდეგი იყო, რომ რუსეთს ეოლოდა მანჯურიაში არტილერია და აგრეთვე იმ შესლის გაუგებრობისა, რომელიც ესებოდა მანჯურიიდან რუსეთის ჯარის გაყვანას.

წერილი ქუთაისიდან.

ქუთაისის სამეურნეო საზოგადოების განყოფილება თვეის თეთილელ უფრო თანამოძმეს სათრს არ უტესს: მასავით და კიდეკ უფრო, როგორც შეფერის პროვინციის დადარდიანებულ და ღონე მანდილ მეთაურს, კაბინეტურ, კარ-ჩაკეტილ ცხოვრებას ეწევა. და ამიტომ ვერ ვსედავთ მათი მოქმედების რეალურ, პრაქტიკულ ხაოფეს.

ბე-90 წლებში ამ საზოგადოების საუკეთესო წევრებმა შეიგნეს რა, როგორც თითონ მოგვითხრობდენ, ქალაქის ცხოვრებაში მეურნეობის დაცემა, განიზრახეს სამეურნეო სკოლის დაარსებით სამეურნეო სწავლა-ცოდნა მოეფინათ ჩვენ სოფლებში. ეს ის დრო იყო, როცა ამგვარ სურვილებს სულ-გაშლილი ეგებებოდა საზოგადოებაც და მთავრობაც, და მიუსედავათ აუცილებელ ისტორიულ კანონებისა სამეურნეო სწავლის გავრცელებაში სედავდენ სსნას თანამედროვე მეურნეობის კრიზისისაგან. და 1893 წელს უკვე ვსედავთ ქუთაისის ფერმაში „სამეურნეო სკოლას“ სამი წლის კურსით, რომელიც დატვირთული იყო და არის ოკეველგვარ სამეურნეო დარგთა სწავლით.

დღიდან დაარსებისა ამ შკოლამ ბევრი განსაცდელი გამოიარა შინაურ, თუ გარეშე პატრონების სელში. დღემდე ეს შკოლა ნომინალურათ მაინც ექვემდებარებოდა „ქუთ. სამ. განყოფილებას“, რომელმაც თვისი უფლებები თავიდანვე ჯერ-ოვნათ ვერ განისაზღვრა, მარა მაზე ასეთ თუ ისეთ მზრუნველობას მაინც იჩენდა, უმეტესობით დაწყლულებულ გულს მაინც იფსანდა. ეს გულის ფსანა კი ისტებოდა ამ 7—8 წლის განმავლობაში შკოლის მმართველობის ამორჩევა-გადუნების საქმეში პასიურათ მოქმედების შესრულებაში. ამის გამო შკოლის საქმე მუდამ აბურდულ-დაბურდული იყო. დღეს ამ დაუწყობელ საქმეს დამწყობი გარეშედან გამოჩენია. ამათ გადაუწყვეტათ ქუთაისის შკოლაც თეთილისის საბალოსნო შკოლასავით, რომელსაც, სხვათა შორის, ბილის მატლათ მეზობელი საბრეშემო დაწესებულება ადმოუჩნდა, პირდაპირ სამინისტროს დაუქვემდებარონ. ამ მიზნით დღევანდელი მმართველ-გამგენი ამ შკოლებისა მათ ბედ-იღბალზე „სამ. საზ.“ წევრებს თითქმის აღარას ეკითხებიან, თითონ გამგებლობენ. მაგ. ქუთაისის სამეურნეო შკოლის გამგეთ მოუსურვებიათ ამ შკოლაში მოსამზადებელი კლასების გახსნა, და „განყოფილების“ დაუკითხავათ კიდეც გაუხსნიათ იგი. მერე რით ამართლებდენ ისინი თავიანთ მოქმედებას? ამ გზითო, თქვა მმართველმა ნოემ. კრებაზე, შკოლას უფრო ბლესების შეიდება დაეაღლებიან, ვინემ თვალ-ახსნაურობის და ეს კი ამ შკოლის უმაღლესს მიზანს უნდა შეადგენდეს. თუმცა შინაურულათ რომ დაკითხვოდა იგი დამაარსებელთან, წინააღმდეგობას მტკიცებას დაუწყებდენ და უპასუხებდენ, რომ აქ მომეტებული ადგილი თვალ-ახსნაურთა წრეს გარეშე დარჩენილ შეილებს უნდა ქონდეთო, რაც თავდაპირველათ ძარიღლიც ასე იყო.

როცა ასეთ გადაწყვეტილებაზე „განყოფილების“ მსოლოთ ერთმა წევრმა, დ. ხახაროვმა, პროტესტი განაცხადა: რატომ ჩვენ არ შეგვატყობინეთ, თუ ასეთ საჭირო საკითხს წყვეტდითო, იგი მოპირდაპირეებმა იმით ჩაჩუმეს, რომ თქვენი მზრუნველი დ. ბაქრაძე (რომელიც, სამწუხაროთ, ასლა აქ არ არის) იქ იყო, როცა ეს საკითხი შკოლის რჩევამ გადაწყვიტა და რატომ მან არ დაინახა საჭიროთ ეცნობებინა თქვენთვისო. თან ჩვენი გადაწყვეტილება ბ. მასალსკის, მივრობის რევიზორს, მოეწონა, რადგან წრეკანდელ ეგზამენებზე დასწრებით იგი დარწმუნდა, რომ შკოლაში მოეემზადებლები მოდიანო. მკითხველი, რასაკვირველია, მიხვდება რისთვის დაუნახავთ ასე უძალლოთ ეს ქვეყანა, რომ შიკ უჯოხოთ დადიან.

სხვა წვრილმან კითხვებზე ბ. მმართველი 8 ნოემ. კრებაზე მუდამ გაიძახოდა: „я считаю своею нравственною обязанностью доложить объ этомъ отдѣлу, чтобы совмѣстно выработать какую-либо программу дѣятельности“ და ეს «совмѣстно»-ობა თვეის ქეიფზე და

გუნებაზე დამყარება ყოფილა. მაგ., მოუსურვებია მას და მის კოლეგებს თავიანთ სამოქმედო ასპარეზის გაფართოვება და მით თავიანთ „ДѢЯТЕЛЬНОСТЬ“-ობაზე საზოგადოებაში ახმაურება, შეუდგენიათ პროექტი «სამეურნეო სახალხო კითხვების» პროგრამისა, რომელიც გაუგზავნიათ სამინისტროში დასამტკიცებლათ, მარა იქიდან დამტკიცების მაგიერ თავიანთი, უკვე არსებული პროგრამა გამოუგზავნიათ და გინდათ თუ არა ასე იმოქმედეთო. ამათ კი მხოლოთ ახლა დაინახეს საჭიროთ, და «ზნეობრივ მოვალეობათ», წარუდგინეს ეს საკითხი «განყოფილებისათვის». ამ საგანზე სჯა-ბაასიდან კი გამოირკვა, რომ «სახალხო სამეურნეო კითხვები» ქუთაისში მეტი ბარგი ყოფილა, რაც შარშანდელ სამეურნეო ლექციების კითხვასაც დაუდასტურებია. ეს ლექციები, თქვა კრებაზე აგრონომმა ს. ტიმოფეევმა (რომელიც ერთი ლექტორთაგანი იყო) სრულიად უნაყოფონი აღმოჩნდენ მსმენელთათვის, რადგან ლექტორნი აცდენ პირვანდელ განზრახულ მიზანს. ეს მიზანი კი იყო ქუთაისის გუბერნიის ეკონომიური კითხვების გამორკვევა, გუბერნიაში არსებულ სამეურნეო დარგების ხალხისათვის მნიშვნელობაზე საუბრების გამართვა და არა სპეციალური კითხვები, ქათმების მოვლა-მოშენებასა, მებოსტნეობა თუ მევენახეობასა და სხ. მისთანებზე. ასეთი საუბრები, რა თქმა უნდა, საინტერესო იქნებოდა თუნდაც იმათთვის, ვინც შარშანდელ ლექციებს ესწრებოდა. ასეთი საუბრების გამართვაში ყველა სიამოვნებით მიიღებდა მონაწილეობას; გაკრიალებულ ზალებში, ვინ იცის, იქნებ მეურნეებსაც შეეხედათ და ჩინოვნიკ-ინტელიგენტ და საშუალო სასწავლებლის მოსწავლეებზე არ დამყარებულიყო მათი მსმენელების რიცხვი. წინააღმდეგ შემთხვევაში კი ქალაქის მცხოვრებთ ვის რათ გამოადგებოდა შარშანდელი სპეციალური სააგრონომიო ლექციები...

ბოლოს კრება მივიდა იმ სრულიად სამართლიან დასკვნამდე, რომ „სახალხო სამეურნეო ლექციები“ დემონსტრაციებით უნდა იკითხებოდეს სოფლებში და არა ქალაქებში, იმ რაიონებში, სადაც მეურნეობის რომელიმე დარგი უფრო განვითარებულია და ხალხის ეკონომიური მდგომარეობაც მაზე არის დამყარებული. მაგ., შორაპნის მაზრაში საჭიროა მევენახეობასა და მეღვინეობის შესახებ კითხვა, ქვემო იმერეთსა და გურია-სამეგრელოში სიმინდსა, თამბაქოსა და მეაბრეშუმეობაზე, სხვაგან კიდე საქონლის, თუ ფრინველების მოშენებაზე და ამ რიგათ განსწავლილი აგრონომები სოფლის მინდვრებში თვით მეურნეებს უნდა მიადგენ თვისი სწავლა-ცოდნით და არა იმათ ქალაქებში ეპატიჟებოდენ. აი, ამ დედააზრის მიხედვით უნდა შეიმუშაოს შკოლის რჩევამ «სახალხო სამეურნეო კითხვების» პროგრამა და წარმოუდგინოს „განყოფილების“ მომავალ კრებას. ამიტომ ხალხზე მზრუნავი დღევანდელი ჩვენი აგრონომები ყველაზე უფრო სარგებლობას იმით მოიტანენ რომ, სანამ თავიანთ უცხო ნიადაგზე შედგენილ წიგნებში ამონაკითხების ჩვენი ქვეყნის ნიადაგზე გადმონერგვას შეუდგებოდენ, გამოიკვლიონ და ანუსხონ დანამდვილებით ხალხის დღევანდელი მდგომარეობა, მიზეზები მისი დაქვეითების თუ დაწინაურებისა; შემდეგ, ამგვარათ დიაგნოზის დადებისა კი ხელი მიყონ იმათი წყლულების წამლობას და დღევანდელ გასაჭირშიც ისე არ მოიქცენ, როგორც ამ ათი წლის განმავლობაში დაემართათ ისევ უცხო ნიადაგზე განსწავლულ აგრონომებს კავკასიაში ფილოქსერის ბრძოლის საქმეში, რაზედაც წლიურათ 60—80,000 მან. იხარჯებოდა და საქმეს მხოლოთ გუშინწინ მიეცა პრაქტიკული სარგებლობის სახე.

იმერეთის მეურნეობას ჯერ კიდე ფილოქსერისაგან დაზიანებული წელი არ წამოეწია, რომ მას დღეს კარზე მოადგა მეორე უბედურება. დღემდე იმერთ სატირალი და საჩივარი სასმელი ღვინო ქონდათ. ახლა კი ბუნებამ მათ საჭმელი პური გაუხადა სადარდელათ და, იმას პირიდან გამოგლეჯას უპირებს, ეს კი გაცილებით მეტ განსაცდელში ჩააგდებს ახალი ცხოვრების პირობებით აბორგებულ იმერეთის ხალხს. ჩვენი მთავრობის აგრონომები უკვე შეუდგნენ ამ სახალხო უბედურების გათვალისწინების საქმეს და ქუთაისის გუბერნიის აგრონომი დღეს სპეციალურათ ამ საკითხს იკვლევს. პირველი ნაბიჯი ამ საქმეში მან უკვე გადადგა და გააცნო უმაღლეს სფეროებს გარდა, ქალაქების (თფილისის და ქუთაისის) საზოგადოებასაც ამ მომავალი უბედურების გამომწვევი სენი, სიმინდის ჩრჩილი. აი, ამ სენის შესახებ მან წაიკითხა 8 ნოემ. ქალაქის საბჭოს ზალაში «სამ. საზ.» კრებაზე მოხსენება, რომლის მოკლე შინაარსის გამოცემა ქართულ ენაზე გადაწყვიტა განყოფილებამ ხალხში დასარიგებლათ. რადგან ამ წიგნაკის გამოცემა 1000—2000 ცალს არ აცილდება (რაც წვეთი იქნება ზღვაში), ამიტომ ჩვენც ვარჩიეთ ამ ორ ფურცლიანი წიგნაკის «კვ.» ფურცლებზე დასტამბვა.

აგრონომ ს. ტიმოფეევის მოხსენების გამო კაი ხანს ითათბირეს კრების დამსწრეებმა და ამ სახალხო უბედურების ასაცდენათ ზოგმა ეს არჩია და ზოგმა ის. როცა ამ სენის საბრძოლველ საშუალებებზე მივიდა ლაპარაკი ერთნი არჩევდენ მივმართოთ ადმინისტრატიულ-პოლიციურ ზომებს, ავკრძალოთ ქვემო იმერეთიდან (გურია-სამეგრელოდან) ზემო იმერეთში (შორაპანსა და რაჭა-ლეჩხუმში) სიმინდის გასაყიდათ შემოტანა და მით შევუკრათ გზა ამ სენის გავრცელებას; საჭირო სიმინდი ქართლიდან, გორის მაზრიდან შემოვიტანოთ, სადაც, ალბათ, ამის მთქმელს გზათაც არ გაუვლია, თორემ ერთხელ მაინც დაინახავდა, რომ იქაური დომის მარცვალა სიმინდი იმერეთს ვერ გამოკვებავს. რაც შეეხება პოლიციური ზომების მიღებას, ამის წინააღმდეგი მომხსენებელ და ზოგიერთ წევრების გარდა, თვით ადმინისტრაციის საგუბერნიო წარმომადგენელი, გუბერნატორის მოადგილე, ბ. კალაჩოვი გახდა. მან თქვა: როგორ შეიძლება ეს საქმე ბოქაულებს, ან საზოგადოთ პოლიციელებს მივანდოთ, როცა ისინი ბევრი საქმების გამო, თავიანთ მოვალეობასაც ვერ ასრულებენ პირნათლათო. ზოგნი ამბობდენ ადვილი შესაძლებელია ეს სენი ზემო იმერეთში, მთა-გორიან ადგილებში არც კი გავრცელდეს, რადგან, როგორც ჩანს, ეს მატლი დაბლობ, ნოტიან ადგილებში ვრცელდება, მშრალ ადგილებში კი იგი ნიადაგს ვერ მოიპოვებსო.

ისი.

შემოდგომა.

თუმც მზეს ნისლი მოეხვია,
გაიძარცვა მთა და ბარი,
აღარ ისმის ბუჩქნარებში
ფრინველთ მღერა-საუბარი;
მაგრამ გული არ მიტირის,
კვლავ იმედით გაზაფხულობს,
შემოდგომის კაეშანშიც
გაზაფხულებრ თაიგულობს!

—

დეე ცრემლი ცამ დაღვაროს,
მე რაღა მაქვს სატირელი!
რა ვუყოთ, რომ მგლოვიარობს

ტყე, მინდორი, ტურფა ველი!
გაზაფხულის პირველი მზე
კვლავ გაგვიშლის ფერად დროშას;
ახლა ძაძით შებურვილსა
კვლავ სხივებით შეგვიმოსავს.

—

როცა მესმის ქარიშხალის
ხევ-ხუვებში ბრძოლა-კვნესა,
ვხედავ, ცრემლი როგორ ცვივა
შემოძარცულ ტყეში ხესა;
მაშინ მიხტის სიხარულით
ათრთოლებულ მკერდში გული
და წინათ ვგრძნობ, რა ტკბილია
ზამთრის შემდეგ გაზაფხული!

—

კვლავ გადმოჰყრის განთიადი
მთის წვერიდან სხივთა კონას,
სიყვარული გაშლის ფრთებსა,
მთა და ბარი იწყებს თრთოლვას,
მას დაატკბობს ბულბულიცა
და განთიადს მისცემს სალამს,
უმღერებს და უგალობებს
გაზაფხულის დროშა-ალამს!

—

და ამიტომ, თუმც მზეს ნისლი
შემოდგომამ მოახვია,
ჩაჭკნა მდელო, ჩაჭკნა ველი,
არსად ვარდი, არსად ია;
მაგრამ მაინც შეუპოვრათ
გული ისევ გაზაფხულობს,
შემოდგომის კაეშანშიც
გაზაფხულებრ თაიგულობს!

ი. ევდოშვ-ლი.

ოცდაექვსი და ერთი

(მ. გორკისა)

(გაგრძელება.—იხ. № 48).

სიმღერებს გარდა ჩვენ ერთი კარგი რამე კიდევ გვქონდა საყვარელი საგანი და, შეიძლება, მზის მაგიერობის გამწევიც. ჩვენი სახლის მეორე სართულში იყო გამართული სამკერვალო, და იქ სხვა ქალებთან ერთათ ცხოვრობდა თექვსმეტი წლის მოსამსახურე ტასო. ყოველ დილას დერეფნის კარებში გამოჭრილ ფანჯარასთან მოადგებოდა პატარა ვარდის ფერი სახე მტრედის ფერი თვალებით, და წკრიალა ხმით ჩამოგვძახებდა:

— ტუსაღებო! მომეცით კრენდილები!

ამ ნაცნობ ხმაზე ჩვენ ყველანი შამოვტრიალდებოდით და მხიარულათ, გულუბრყვილოთ შევაჩერდებოდით ქალწულის ნაზ სახეს, რომელიც ჩვენ ალერსით გვიღიმოდა. ჩვენ შევეჩვიეთ და გვიამებოდა ფანჯრის მინაზე მოფარებული ცხვირის და ბროლის კბილების დანახვა. ერთმანეთს არ ვაცლიდით მისთვის კარის გაღებას. ისიც მხიარული შამოვიდოდა ჩვენთან, გამოგვიშვერდა გულისაფარს, დადგებოდა ჩვენ წინ, გადაწევდა გვერდზე თავს და სულ იღიმებოდა. მხრებზე გადმოშვებული გრძელი და სქელი წაბლის ფერი თმა გულზე ეფინებოდა. ჩვენ დასვრილ-დათითხნილი შევცქეროდით მას; ვაძლევდით სალამს, ვეუბნებოდით ისეთ სიტყვებს, რომელნიც მხოლოთ მის მოსვლისას მოგვაგონდებოდა; მასთან ლაპარაკის დროს ხმაც როგორღაც გვიამდებოდა და ოხუნჯობაც გვიადვილდებოდა. ჩვენ მისთვის კრენდილები განსაკუთრებული გვქონდა; ხაბაზი გამოიღებდა ფურნიდან ერთ ნიჩაბ წითლათ დაბრაწულ კრენდილებს და მარდათ ჩაუყრიდა ტასოს გულსაფარში.

იცოდე, „ხაზეინს“ არსად წააწყდე! ვაფრთხილებდით ხოლმე ტასოს. იგი კი ეშმაკურათ გაიცინებდა და მხიარულათ გადმოგვძახებდა:

— მშვიდობით, ტუსაღებო! — და თაგვივით უცებ გაქრებოდა. იმის წასვლის შემდეგ ჩვენ მხიარულათ ვებაასებოდით ერთმანეთს, იმაზე ვლაპარაკობდით სულ ერთს და იმავეს, რასაც გუშინ და წინეთაც ვამბობდით. ეს იმიტომ, რომ ისიც, ჩვენც და ყოველივე ჩვენს ვარშემო სულ ერთი და იგივე იყო, რაც გუშინ და წინეთ... ძლიერ სამძიმო და დამაღონებელია, როცა ადამიანი ცხოვრობს და მის გარშემო კი არაფერი იცვლება. ეს მის სულის კვეთებას სულ თუ არ მოკლავს, რაც უფრო მეტს იცხოვრებს, მით შემაძრწუნებელი იქნება მისთვის... ქალებზე ჩვენ ყოველთვის ისე ვლაპარაკობდით, რომ ხანდისხან თვით ჩვენვე გვეზიზღებოდა ჩვენი უსირცხვილო სიტყვა-პასუხი, ეს არც გასაკვირველი იყო, რადგან ის ქალები, რომლებსაც ჩვენ ვიცნობდით, არც კი იყვენ ღირსნი იმ სიტყვებზე უკეთესისა. ტასოზე კი ცუდს არასოდეს არ ვიტყოდით; არც ერთი ჩვენთაგანი მას არა თუ ხელით არ შეხებია, თავაშვებული ხუმრობაც კი არ გაუგონებია შორიდან. შეიძლება ეს იმიტომაც მოხდა, რომ ტასო დიდხანობით არ რჩებოდა ჩვენთან: გამოგვიქროლებდა თვალ-წინ ციდან მოწყვეტილ ვარსკვლავივით, და გაქრებოდა; შეიძლება კიდე იმიტომ, რომ იგი იყო პატარა და მეტათ ლამაზი, სილამაზე კი თვით მურტალ კაცშიაც პატივისცემას იწვევს. თუმცა ჩვენი კატორღული შრომა გვხდიდა ჩვენ უენო პირუტყვებათ, ჩვენ მაინც ადამიანობას არ ვკარგავდით, და როგორც ყოველი ადამიანი, არ შეგვეძლო, რომ რამესთვის თაყვანი არ გვეცა. იმაზე უკეთესი ჩვენ გარშემო არავინ იყო და მას გარდა ჩვენ, სარდაფში მცხოვრებლებს, ყურადღებას არავინ გვაქცევდა, თუმცა იმ სახლში ბევრნი იდგენ. და ბოლოს—უეჭველათ ეს კი უმთავრესია—ყველას იგი თავისიანათ მიაჩნდა, იგი მიაჩნდათ ისეთ ვინმეთ, რომელსაც თითქოს მხოლოთ ჩვენი კრენდილების წყალობით შეეძლო ცხოვრება; ჩვენ მოვალეობათ დავიდევით გვეძლია მისთვის თბილი კრენდილები და ეს ჩვენთვის შეიქმნა ყოველ დღიურ მსხვერპლათ ჩვენი კერპისათვის, ეს თითქმის საღვთო წესათ დაგვედვა და რამდენიც დღე მიდიოდა, იმდენათ ჩვენ მას ვუკავშირდებოდით. კრენდილებს გარდა ტასოს ჩვენ ბევრნაირ რჩევებსაც ვაძლევდით; ვეუბნებოდით თფილათ ჩაეცვა, არ ერბინა გაჩქარებით კიბეებზე, არ ეზიდა შეშის დიდი ტვირთი. იგი სიცილით ისმენდა ჩვენ რჩევებს, ღიმილით გვიპასუხებდა და არასოდეს ჩვენ არ გვიგონებდა, მარა ამით ჩვენ შეურაცხყოფილნი არ ვრჩებოდით: ჩვენ მხოლოთ გვინდოდა გვეჩვენებინა, რომ ჩვენ მაზე ვზრუნავდით.

ხშირათ ჩვენ იგი სხვა-და-სხვა თხოვნებით მოგვმართავდა, მაგალითათ, გვთხოვდა გაგველო სარდაფის მძიმე

კარი, შუშა დაგვეჭრა,—ჩვენ მხიარულად და ერთგვარის თავმოწონებით ვუსრულებდით ამას და ყოველ-ივე სხვა რამეებს, რაც კი მას სურდა.

მარა როცა ერთმა ჩვენგანმა მას ერთათ ერთი თვისი დახეული პერანგის დაკერება თხოვა, ზიზღით გააფურთხა და თქვა:

— როგორ არა! ესლა მაკლია!

ჩვენ სიცილი დავაყარეთ იმ ჩურჩუტს და არასოდეს იმისათვის მას შემდეგ არა გვითხოვნია-რა. ჩვენ იგი გვიყვარდა,—ამით ყოველივე იგულისხმება. ადამიანს ყოველთვის უნდა თვისი სიყვარული ვიზედმე გადიტანოს, თუმცა იგი მას ამძიმებს. ჩვენ ტასო უნდა გვყვარებოდა, რადგან სხვა ჩვენ ანკი ვინ გვყავდა შესაყვარებელი.

ხანდახან რომელიმე ჩვენგანი უეცრივ ასე დაიწყებდა მსჯელობას:

— რას ვანებივრებთ ჩვენ ამ გოგონას? რა არის მასში ასეთი? ჰე? ჩვენ რაღაც ძალიან ვექუჩქუჩებით მას?

ვინც ასეთ ლაპარაკს დაიწყებდა, ჩვენ იმ წამსვე პირში თითს ჩავჩრიდით, ჩავაჩუმებდით; ჩვენ რაიმე უნდა გვყვარებოდა: ჩვენ გამოვინახეთ ეს და გვიყვარდა, და რაც ჩვენ, ოცდაექვსს გვიყვარდა, თითოეულისათვის წმიდათა წმიდას შეადგენდა და ვინც ჩვენ წინაამდეგ მიდიოდა ამაში, ის ჩვენი მტერი იყო.

საკრენდილეს გარდა ჩვენ «ხაზეინს» ბულკების საცხობი ფურნეც ქონდა; იგი მოთავსებული იყო იმავე სახლში კედელ იქით ჩვენი ორმოსაგან; მარა ბულკების მცხობლები, რომლებიც რიცხვით ოთხნი იყვენ, ჩვენგან შორს იჭერდენ თავს, რადგან თავიანთი სამუშაო ჩვენსაზე უფრო სუფთა სამუშაოთ მიაჩნდათ, და ისინი ჩვენ სახელოსნოში არ შამოდიოდენ, ზიზღით დაგვცინოდენ, როცა შეგვხვდებოდენ ეზოში; ჩვენც აგრეთვე არ დავდიოდით მათთან: ამას ჩვენი ბატონიც გვიშლიდა იმის შიშით, რომ ბულკები არ მოგვეპარა. ჩვენ არ გვიყვარდა ბულკის მცხობლები, იმიტომ, რომ გვშურდა, რადგან მათი სამუშაო ჩვენსაზე უფრო ადვილი იყო; ისინი ჩვენზე მეტს იღებდენ, იმათ უკეთესათ კვებავდენ, იმათ განიერი, ნათელი სახელოსნო ქონდათ და ყველა ისინი სუფთა და ჯანმრთელები იყვენ. ჩვენ კი რაღაც გაყვითლებული და ნაცრის ფერი; სამი ჩვენგანი ათაშანგით იყო ავათ, ზოგიერთებს მუნი ჭირდა, ერთი კი სრულიად დაღმეჭილი იყო ქარებისაგან. ისინი უქმე და თავისუფალ დღეებში პიჯაკსა და მოჭრიჭინე წაღებს იცვამდენ, ორ იმათგანს გარმონიც ქონდა; ისინი დადიოდენ ქალაქის ბაღში,—ჩვენ კი დახეულ ქალამნებს და ჯღარკებს ვატარებდით ფეხებზე, ჩვენ ქალაქის ბაღში პოლიცია არ გვიშვებდა. განა შეგვეძლო ჩვენ ბულკების მცხობელები გვყვარებოდა?

ერთხელ ჩვენ შევიტყეთ, რომ ერთი ხაბაზი გალოთებულიყო, ბატონმა დაითხოვა და მის ადგილზე მეორე დაიჭირა, ეს მეორე—სალდათი-—ატლასის ჟილეტს იცვამდა და ოქროს ძეწკვიან საათს ატარებდა. ჩვენ გვეინტერესებოდა ამისთანა თავმომწონეს ნახვა და ნახვის იმედით ჩვენ ერთიმეორეზე გამოვირბინეთ ეზოში.

მარა ის თითონ მოვიდა ჩვენ სახელოსნოში. წიხლი კრა კარს და შეაღო იგი, დატოვა ღია, შედგა კარინაგერაზე და ღიმილით გვითხრა:

— გამარჯობა, ყმაწვილებო! ღმერთი იყოს თქვენი შემწე!

გაყინული ჰაერი შემოვარდა კარებში და ნისლივით დაიწყო გრეხა მის ფეხებთან; იგი იდგა კარინაგერაზე, გვიყურებდა ჩვენ ზევიდან ქვევით და იმის მოწაბლისფერო დაგრეხილ ულვაშებში ბრწყინავდენ სხვილი, ყვითელი კბილები. ჟილეტი მას მართლაც რაღაც განსაკუთრებული ეცვა, იგი სულ ბრწყინავდა, ღილაქები რაღაც წითელი ქვებისაგან გაკეთებული ქონდა. ძეწკვიც ზედ ეკიდა...

კოხტა ბიჭი იყო ეს სალდათი, მაღალი, ჯანსაღი, წითელ ტუჩებიანი, და მისი დიდი თვალები ღმობიერათ იყურებოდენ. თავზე მას თეთრი გაკრახმალებული ქუდი ეხურა, ფეხებზე კი გაკრიალებული წაღები ეცვა.

ჩვენმა ხაბაზმა მოწიწებით თხოვა მას კარების დახურვა; მან სისწრაფით შეასრულა და დაგვიწყო გამოკითხვა ჩვენ ბატონზე; ჩვენ პასუხის თქმა ერთიერთმანეთს არ ვაცალეთ და ვუთხარით, რომ ჩვენი ბატონი დამწვარი კაცია, ბოროტი და მწვალებელი; ერთი სიტყვით, ვუთხარით ის, რისიც კი თქმა შეიძლებოდა ბატონზე, მარა აქ სუყველა არ დაიწერება. სალდათი გვისმენდა, ულვაშებს აცმაცურებდა და ღმობიერათ გვათვალიერებდა.

— აქ გოგოები ბევრია?..—უეცრათ გვკითხა მან.

ზოგიერთმა ჩვენგანმა დინჯათ გაიცინა, ზოგმა სახე დაღმიჭა და ვიღამაც აუხსნა სალდათს, რომ აქ გოგოები ცხრამდეაო.

— სარგებლობთ? – იკითხა სალდათმა მოკლეთ.

ჩვენ დაბალი და დარცხვენილი ხმით კიდეც გაგვეცინა... ზოგიერთ ჩვენგანს უნდოდა მოჩვენებოდა სალდათს მასავით ბედოვლათათ, მარა ვერავინ მოახერხა ეს, ვერც ერთმა ვერ შეძლო. მხოლოთ ვიღაცა ჩვენგანმა ჩუმათ წაილაპარაკა:

-- ვინ ჩვენ და ვინ მაგისთანები?

-- ჰო, თქვენთვის ეს ხომ ძნელია! დაბეჯითებით ბუტბუტებდა სალდათი და გაფაციცებით გვათვალიერებდა ჩვენ... თქვენ რაღაც... უზურში გაკლიათ... თქვენ გამბედაობა გაკლიათ... შეხედულება... მოქცევა, მაშასადამე! ქალს კი კაცის შეხედულება მოწონს. მას უნდა, რომ ტანწერწეტა იყო... რომ ყველაფერი თავის რიგზე გქონდეს! და ამასთან იგი ღონესაც პატივსა ცემს... მაგარ მკლავებს!

სალდათმა ამოიღო ჯიბიდან წამკლავებული ხელები და გვაჩვენა ჩვენ... ხელი იყო თეთრი, მძლავრი და ზედ მოელვარე ოქროს ფერი ბალანი ქონდა ამოსული.

— ხელი, გული—ყველაფერში სიმძლავრეა საჭირო... მე, ხედავთ, ქალებს ვუყვარვარ. მე იმათ არ ვუძახი, არ ვიტყუებ,—ისინი ხუთ-ხუთი ჩამომეკიდებიან ხოლმე კისერზე...

ის ჩამოჯდა ტომარაზე და დაიწყო იმაზე მუსაიფი, თუ როგორ უყვართ იგი ქალებს და თვით როგორ ვაჟკაცურათ ექცევა იმათ. შემდეგ ის წავიდა და როცა კარი გაიხურა, ჩვენ დიდხანს ვიყავით ჩუმათ, ვფიქრობდით მაზე და მის ნაამბობზე. მერე კი უეცრივ ყველა ალაპარაკდა, და ერთბაშათ გამოირკვა, რომ იგი ყველა ჩვენგანს მოეწონა. ის ისე უბრალოთ და ლაზათიანათ მოვიდა, დაჯდა ჩვენთან და მეგობრულათ გველაპარაკა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენთან არაერინ დადიოდა, არავინ გვემუსაიფებოდა ასე მეგობრულათ... და ჩვენ სულ მაზე და მკერვალ ქალებზე მის გამარჯვების შესახებ ვლაპარაკობდით. ისინი შეგვხვდებოდენ თუ არა ეზოში ან ტუჩებ აპრუწვით გვერდს შეგვიცლიდენ, ან პირდაპირ შეგვეხეჩებოდენ, თითქოს ჩვენ იმათ გასავლელ გზაზე არ ვყოფილიყოთ. ჩვენ კი ვესიყვარულებოდით იმათ ეზოში, როცა ჩვენი ფანჯრების წინ ჩამოიცლიდენ, ზამთრობით ,რაღაცნაირ ქურქებში გახვეულნი და ზაფხულობით სხვა-და-სხვა ფერ ყვავილებით შემოსილ შლაპებში და ქოლგებით ხელში. სამ-გიეროთ ჩვენ ერთმანეთში ვლაპარაკობდით ამ ქალიშვილებზე ისე, რომ იმათ ჩვენთვის ყური დაეგდოთ, ყველანი გაცხარებულნი შეურაცხყოფილნი დაირცხვენდენ ამას.

— ერთიც ვნახოთ იმან ჩვენი ტასოც გაგვიფუჭოს! წამოიძახა შეშფოთებულმა ხაბაზმა.

ჩვენ ყველანი გაგვაშტერა ამ სიტყვებმა. ჩვენ როგორღაც დაგვავიწყდა ტასო: სალდათი თვისი შნოიანი და ლაზათიანი მოყვანილობით ჩადგა ჩვენსა და მას შუა. მერე დაიწყო ხმამაღალი სჯა-ბაასი: ზოგი ლაპარაკობდა. რომ ტასო ამას არ იკადრებსო, ზოგი ამტკიცებდა, რომ იგი სალდათის ჟინს ვერ შეებრძოლებაო, სხვებს წინადადება შემოქონდათ, რომ თუ სალდათი რამეს დაუპირებს ტასოს,—მისთვის გვერდები ჩაემტვრიათ. და ბოლოს ყველამ გადაწყვიტა თვალყური ედევნებინათ სალდათისა და ტასოსათვის, გაეფრთხილებინათ გოგონა, რომ მორიდებოდა მას... ამ გადაწყვეტილებამ დავა გაათავა.

ზ. ჩიჩუა.

(შემდეგი იქნება).

ფრიდრიხ ნიცშე*)

I.

საზოგადო დასასიათება და ბიოგრაფიული შენიშვნები.

1900 წ. 12 აგვისტოს გერმანიის ერთ პატარა ქალაქ ვეიმარში გარდაიცვალა მრავალწამებული ფილოსოფოსი ფრიდრიხ ნიცშე. ეს ამბავი ელვის სისწრაფით მოედვა მაშინ მთელ განათლებულ ევროპას. მეტათ საამწუხარო ბედი არგუნა ნიცშეს წუთისოფელმა. იგი მოკვდა ორჯერ და ამიტომ გლოვაც ორჯერ შეხვდა მას: პირველათ 1889 წელში, როდესაც იგი სამუდამოთ ჭკუაზე შეიშალა და მეორეთ კი 1900 წ.; პირველათ ევროპამ იგლოვა ნიცშეს სული, მეორეთ კი—მისი ხორცი.

საგულისხმოა ის მოვლენა, რომ ჩვენ ლიტერატურას ერთხელაც კი არ დაუძრავს კრინტი ამ ფილოსოფოსის შესახებ [1]). სამწუხაროა, რომ ისეთი არაჩვეულებრივი გონებრივი მოძრაობა, რომელიც გამოიწვია ნიცშეს სწავლამ ამ საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში ევროპა-რუსეთში,—სრულიად შეუმჩნეველათ დარჩა ქართულ მწერლობაში.

ნიცშეს მნიშვნელობა არ განისაზღვრება მარტო იმ გავლენით, რომელიც მან იქონია თანამედროვე მწერლობაზე; ღირსშესანიშნავია ის გარემოება, რომ ნიცშემ ჰპოვა მიმდევარნი არა ერთ რომელიმე განსაზღვრულ პოლიტიკურ დასში, პირიქით ისინი ეკუთვნიან ერთიმეორის პრინციპიალურ მოწინააღმდეგეთ. მაგალ. ნიცშე აღიარეს თავის მოძღვრათ ანარქისტებმა, თუმცა ამ უკანასკნელთ იგი ეძახოდა «ძაღლებს»; მის სწავლაში ჰპოვეს თავიანთი იდეალების განხორციელება მონარქისტებმა; თვით ბურჟუა-რესპუბლიკანელებიც კი სახავენ ნიცშეს თავიანთი ინტერესების დამცველათ და სხ. ამ უკანასკნელ წლებში დაარსდა მრავალნი საზოგადოებანი, რომელთაც გაუხდიათ თავის მიზნათ ნიშცეს აზრების გავრცელება...

ყველაზე წინ ჩვენ ვეცდებით მოკლეთ გავაცნოთ მკითხველს ნიცშეს ცხოვრება [2]).

ფრიდრიხ ვილჰელმი ნიცშე დაიბადა 1844 წ. 15 ოქტომბერს. იგი იყო ერთათ ერთი ვაჟიშვილი პროტესტანტთა პასტორისა ლიუცენში, რომელიც მდებარეობს პრუსიის ერთ პროვინციაში, სახელდობრ საქსონიაში. პირველ-დაწყებითი სწავლა მან მიიღო ერთ მახლობელ პატარა ქალაქში, რომლის შემდეგ იგი შევიდა სტუდენტათ ბონნის უნივერსიტეტში ფილოლოგიურ ნაწილზე. აქ მაშინ ლექციებს კითხულობდა გამოჩენილი ფილოლოგი რიჩლი, რომლის ხელმძღვანელობით ნიცშე გულმოდგინეთ შეუდგა მეცნიერების საფუძვლიანათ შესწავლას. როდესაც რიჩლი გადაყვანილ იქმნა ლეიპციგის უნივერსიტეტში, ნიცშეც თან გაყვა მას 1865 წ. სტუდენტობის დროს ნიცშე პირველათ 1868 წ. შეხვდა გამოჩენილ კომპოზიტორს რიჩარდ ვაგნერს, რომელმაც ფრიად დიდი გავლენა იქონია მაზე. ჯერ დიპლომიც არ მიეღო ნიცშეს, როდესაც 24 წლის ყმაწვილი მიიწვიეს ლექტორათ ფილოლოგიის კათედრაზე ბაზელის უნივერსიტეტში. მან ჩქარა მიიღო კლასიკური ფილოლოგიის ორდინარული პროფესორობა. ლეიპციგის უნივერსიტეტმა უბოძა ნიცშეს დოქტორის ხარისხი, თუმცა მას ამისათვის სავალდებულო გამოცდა არ ქონდა დაჭერილი. ნიცშემ თავის შესანიშნავი ლექციების გატაცებული კითხვით მაშინვე მოიპოვა გავლენა მოსწავლეთა შორის, ასე რომ მისი ამხანაგ-პროფესორები ამბობდენ: „ბაზელს ჯერ არ მოვლინებია ასეთი მასწავლებელიო“. ნიცშე ასწავლიდა აგრეთვე ბერძნულ ენას ბაზელის პედაგოგიუმში (ეს უკანასკნელი წარმოადგენდა გიმნაზია და უნივერსიტეტის შედარებით საშუალო რამ სასწავლებელს). 1870 წ. ფრანგ-პრუსიელების ომის დროს ნიცშე მსახურებდა თავისუფალ სანიტარათ. ჩქარა ამის შემდეგ ნიცშეს დაუწყო საშინელი თავის ტკივილი, რომელიც პერიოდიულათ ეწვევოდა მას და მწარეთ ტანჯავდა. თუ

*) ბევრში არ ვეთანხმებით პატივცემულ ავტორს, მაგრამ, როგორც თითონ ამბობს ერთ ადგილას, იშვიათათ შეხვდებით ორ ადამიანს, რომელნიც ნიცშეს შესახებ ერთგვარი აზრის იყვენ და ამიტომ ვუთმობთ ადგილს. მართალია მოსაზრება, რომ ნიცშეს ფილოსოფია პიროვნების დამცველია, მაგრამ თვით ეს მოვლენა გამოიწვია მან, რომ პიროვნების ასეთი დაცვა საჭიროა დროს გადასული გაბატონებული კლასისთვის და ამ მხრით ნიცშეს ფილოსოფიაც უკიდურესი ბურჟუაზიული ფილოსოფიაა. რედ.

[1]) შარშანდელ მოამბის მე V-თე ნომერში ბ-ნ კიტა აბაშიძემ თავის „ცხოვრება და ხელოვნებაში“ გაკვრით მოიხსენია ნიცშე. ხსენებული ავტორი სახავს ნიცშეს ადამიანის „ხორცის“ მოთხოვნილებათა და „განახლებულის კერპ თაყვანისმცემლობის“ გამომხატველათ. რამდენათ უსაფუძვლოა ეს მოსაზრება, ამას მკითხველი დაინახავს ჩვენი წერილიდან. ავტ.

[2]) ეს ბიოგრაფიული ცნობები ამოკრებილია ნიცშეს მეგობარ-ქალის ლუ ანდრეას-სალომეს ფრიად საყურადღებო წერილებიდან.

Лу-Андреасъ-Саломэ „Фридрихъ Ницше въ своихъ произведеніяхъ“, пер. съ нѣм. З. В. Жур. „Сѣверный Вѣстникъ“ за 1896 г. № 3 - 5.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავუჯერებთ ნიცშეს თქმულებას, თავის ტკივილი გადაეცა მას მემკვიდრეობით მამისაგან, რომელიც ამ სენით მოკვდა. 1876 წ. თავის ტკივილს დაერთო თვალის ნახევრათ დამსება, რის გამო ნიცშე იძულებული შეიქნა გამოსულიყო პედაგოგიუმიდან. აი რას ამბობს ნიცშე თავის ავათმყოფობაზე: «რამდენჯერმე გადარჩენილი სიკვდილს და დევნილი საშინელ ტანჯვათაგან—ასე ვცხოვრობ მე დღითი დღე»! 1877 წ. ნიცშე გაემგზავრა სორრენტოში, სადაც გაატარა ზამთარი; აქ მას ცოტათი გულს უბრუნებდენ რამდენიმე მეგობრები. 1879 წ. ნიცშემ სრულიად მიანება თავი პროფესორობას, რადგანაც მისი ფიზიკური მდგომარეობა თანდათან უარესდებოდა. ამის შემდეგ იგი ატარებდა მეუდაბნოესავით განმარტოებულ ცხოვრებას იტალიაში (გენუაში), შვეიცარიის მთებში და სხ.

1882 წ. ნიცშემ გადაწყვიტა სამწერლო ასპარეზის სრულიად დატოვება ათი წლით. ამ დროს განმავლობაში მას სურდა ჯეროვანათ შეემუშავებია ადრევე მოფიქრებული თავისი საკუთარი ფილოსოფია, რომლის გამოქვეყნებას აპირებდა 1892 წ., მაგრამ ეს პირობა ვერ შეასრულა,—პირიქით, სწორეთ ამ წლებში დაწერა თავის თხზულებათა უმეტესი ნაწილი. 1889 წ. ნიცშემ განიცადა ტვინის ავათმყოფობის საშინელი კრიზისი, რომელსაც შედეგათ მისი სამუდამოთ ჭკუიდან შეშლა მოყვა. და როდესაც მისი მორჩენის ყოველივე იმედი დაკარგათ, იგი გადაყვანილ იქნა ნაუმბერგში დედასთან, რომელიც რამდენიმე წლის შემდეგ გარდაიცვალა და ავათმყოფ ფილოსოფოსს სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე უვლიდა მისი საყვარელი ერთათ-ერთი და ელისაბედ ფიორსტერისა.

აი, მოკლეთ ნიცშეს ცხოვრების გარეგანი პირობები. მხოლოთ ასე ადვილი როდია ფილოსოფოსის სულიერ მდგომარეობათა გათვალისწინება. ფრიდრიხ ნიცშე თავის ბუნებრივი ნიჭით წარმოადგენს კოლოსალურ-რამ მოვლენას, ასე რომ მისი ყოველ-მხრივი დახასიათება ფრიად ძნელი საგანი არის. ნიცშე მარტო ფილოსოფოსი როდი იყო, მის ნაწერებში ჩვენ ვხედავთ ბუნებით პოეტს და მემუსიკეს, იგი წერს არა ისე, როგორც ჩვეულებრივი მეცნიერი: თვითეული მისი აზრი, რაც უნდა შორეულ საგანს ეხებოდეს, წარმოადგენს გულის სიღრმიდან ამონახეთქ ნაპერწკალს. ნიცშეს გატაცებული, წრფელი გულით ბაასი გვაგონებს საშუალო საუკუნეების მქადაგებელთ; მისი მჭევრმეტყველება, მოკლეთ მოჭრილი აფორიზმები თავისი ენერგიით, თავისი ცეცხლით აჭარბებენ ყველა იმას, რაც კი ოდესმე გვსმენია საუკეთესო ორატორებისაგან. ნიცშე სულით და ხორცით სუბიექტივისტია; მას არ შეუძლია გულგრილათ შეჩერდეს რომელიმე საგანზე, თუგინდ ეს უკანასკნელი სრულიად უმნიშვნელო ფაქტს ეხებოდეს; იგი იცავს თვითეულ თავის აზრს დემონიურის სიმკაცრით. «მათ შორის, რაც დაწერილა—ამბობს ნიცშე—მე მიყვარს მხოლოთ ის, რომელიც დაწერილია საკუთარი სისხლით. წერე საკუთარი სისხლით და შენ გაიგებ, რომ სისხლი—იგივე სულია» [3]).

ვისაც სურს საესებით შეიგნოს ნიცშეს ნაწერების მიუწდომელი ღირსებანი, ის საფუძვლიანათ უნდა გაეცნოს მის მრავალწამებულ ცხოვრებას, მეტსაც ვიტყვით, მან უნდა წარმოიდგინოს თავის თავი ამ დიადი ადამიანის მდგომარეობაში და ფსიხოლოგიურათ გამოცადოს ყოველი მისი სულისკვეთებანი. უამისოთ შეუძლებელია ნამდვილ ნიცშეს შეგნება. „ადვილი არ არის სხვისი სისხლის გაგება; მე მძულს უსაქმური მკითხველებიო“ [4]), გვეუბნება ნიცშე.

ნიცშე სახავს ჭმუნვარებას მთელი თავის ფილოსოფიის გამომწვევ მიზეზათ და ამით ნუგეშობს იგი, როდესაც დააქვს თავის გულში გამოუთქმელი ტარტაროზული ტანჯვა-ვაება. აი როგორ გვიხასიათებს ნიცშე ფილოსოფოსს: „ფილოსოფოსი ისეთი კაცია, რომელიც მუდამ განსაცდელშია, ხედავს, ისმენს, იჭვნეულობს, იმედოვნებს, ოცნებობს არაჩვეულებრივ საგნებზე, კაცი, რომელსაც საკუთარი აზრები მეხივით თავზარს ცემენ გარედან, ზევიდან, ქვევიდან“... [5]).

ნიცშეს ფილოსოფია არ წარმოადგენს ერთს მთელ რამე სისტემას. იგი ჩვენ არ გვაძლევს პასუხს არც ერთ განყენებულ ფილოსოფიურ კითხვაზე. „ვეჭვობთ—ამბობს პროფ. ლოპატინი—რომ ვინმე შეუდგეს ნიცშეს წიგნების კითხვას იმ მიზნით, რომ იქ რომელიმე ფილოსოფიურ პრობლემის საფუძვლიანათ განმარტება იპოვოს“ [6]). „ადვილათ შეგვიძლია დავარღვიოთ ნიცშეს იდეები—ამბობს ლუ-ანდრეას-სალომე—მხოლოთ შეუძლებელია, თვითონ ნიცშეს სიტყვით, მათი, ე. ი. იდეების «დამარხვა» [7]). ნიცშეს მნიშვნელობა შეიძლება განისაზღვროს იმით, რომ მან ცადა შეეტანა ფილოსოფიაში გრძნობათა ელემენტი; იგი შეუძლებლათ თვლის ფილოსოფიური კითხვების მარტო გონების შემწეობით გადაწყვეტას; მისი აზრით, გონებასთან გრძნობაც უნდა ღებულობდეს მონაწილეობას.

ნიცშე დიალექტიური აზროვნების მტერია: იგი უშიშრათ გამოთქვამს ყოველ იმას, რაც კი აზრათ მოუვა თავში, მიუხედავათ იმისა, ეთანხმებმ თუ არა ეს სიტყვები წინანდელ ნათქვამს. თუ აზრთა წინააღმდეგობა ნიცშეს ნაწარმოებთა ნაკლულევანებათ დავსახეთ, მაშინ იგი ყოველგვარ კრიტიკის დაბლა დგას. და ამით აიხსნება, ჩვენი აზრით, ის გარემოება, რომ ძნელათ შეხვდებით ორ ადამიანს, რომელნიც ნიცშეს შესახებ ვრთგვარი აზრის იყვენ.

ნიცშე არ არის თავის აზრების ფანატიკოსი,—იგი გმირულის გულადობით განაგდებს მათ, თუ ისინი არ ეთანხმებიან ახლათ შეგნებულ ჭეშმარიტებას. ამით აიხსნება შემდეგი მისი სიტყვები: «ჭეშმარიტებისათვის რწმენა უფრო საშინელი მტერია, ვინემ სიცრუე». მართლაც, ნიცშე რამდენჯერმე იცვლის თავის რწმენას. შემდეგი სიტყვები ყველაზე უკეთ ახასიათებენ ნიცშეს ბუნებას: „ჩვენ არ მივიღებდით წამებას ჩვენი რწმენისათვის, რადგანაც არა ვართ იმდენათ დარწმუნებული მის სიმართლეში, მაგრამ ადვილათ შესაძლებელია, რომ ჩვენ

[3]) „Такъ говоритъ Заратустра“, пер. съ нѣм. გვ. 41.

[4]) იქვე, გვ. 41.

[5]) „По ту сторону добра и зла“, пер. Алексѣева, გვ. 303.

[6]) Проф. Лопатинъ „Фридрихъ Ницше“. „Вопросы философіи и психологіи“ 1893 г, кн. 1, გვ. 111.

[7]) იხ. Лу-Андреасъ Саломэ. „Сѣверный Вѣстникъ“, 1896 г. № 3, გვ. 274.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წავსულიყავით პირდაპირ კოცონზე, რომ დაგვეცვა ჩვენი აზრთა თავისუფლება და მათი გამოცვლის უფლება“ [8]).

ნიცშეს შეხედულებათა ცვალებადობას ქ-ნ ლუ-ანდრეას-სალომე ყოფს სამ უმთავრეს ხანათ: ა) 1868—1878 წ.წ., როდესაც ნიცშე იყო გატაცებული ვაგნერის მუსიკით და შოპენგაუერის მეტაფიზიკით, ამ ხანას ეკუთვნიან შემდეგი ნაწარმოებნი: „დაბადება ტრაგედიისა მუსიკის სულიდან“, „უდროვო ფიქრები“ და სხვ... ბ) 1879—1882 წ.წ., როდესაც მისი გონება სრულიად გარემოცული იყო რაციონალიზმით ფილოსოფიაში და პოზიტივიზმით ისტორიაში, მაშინდელი ნაწერები: „ადამიანი მეტის მეტი ადამიანურია“, „სენტენციები“ და სხ. გ) 1883—1889 წ.წ., ამ ხანას ეკუთვნის ნიცშეს ზნეობრივი ფილოსოფია, ნაწერები: „მხიარული მეცნიერება“, „ასე ამბობდა ზარატუსტრა“, „კეთილი და ბოროტის იქითა მხარეზე“ და სხ.

ჩვენ ამ წერილში გვექნება ბაასი ნიცშეს იმ ნაწერებზე, რომელნიც მისი ფილოსოფიური განვითარების მხოლოთ მესამე ხანის ნაყოფია. ნიცშე მხოლოთ ამ ხანაში ეკუთვნის სრულათ თავის თავს. წინეთ მას ყავდა მასწავლებლები, აქ კი მან დაანარცხა ძველი „კერპები“ და მთელი თავისი ენერგიით შეუდგა საკუთარი რამეს წარმოშობას და, როგორც ვნახავთ, მიაღწია კიდეც მიზანს.

ა. ჩხენკელი.

ქართული თეატრი ქუთაისში *).

სწორეთ ერთი თვეა, რაც გაიხსნა სეზონი ქუთაისში. რეპერტუარი სასურველათ არის შედგენილი: ითამაშებენ როგორც ცნობილ ევროპიულ პიესებს, აგრეთვე ქართულ ორიგინალურ პიესებსაც. უმთავრესი ყურადღება დასის გამგეთ მიუქცევიათ შინაარსიანი პიესებისათვის; არ დაუვიწყნიათ უკვდავი შექსპირიც, რომლის ჰამლეტს მომავალი წლის იანვარში თუ თებერვალში უსრულდება 300 წლის იუბილეი. შარშანდელი წლით დაშინებული დასი დიდი ენერგიით და მეცადინობით ეკიდება წელს საქმეს: ყოველ წარმოდგენაზე ორ-ორი გასტროლიორი ყავს მოწვეული თფილისიდან, როლები ყოველთვის კარგათა აქვთ შესწავლილი აქტიორებს; თუმცა ყველანი ერთი ღირსების არ არიან, მაგრამ საზოგადოთ ანსამბლს არა უშავსრა. დასის დედა-ბოძი და სულის ჩამდგმელი ისევ ბ. მესხიშვილია; მისი თამაში «ყაჩაღებში» (28 ოქტ.) ისეთი ძლიერი იყო, რომ მისი ერთი ჟესტი, ერთი სიტყვა გამოიყიდდა სხვა მოთამაშეთა ნაკლულევანებებს. წარმოდგენების რიგიანათ მოწყობას ამ თავში ცოტათი აფერხებს ქ-ნ ნ. ჩხეიძის ავათმყოფობა, მაგრამ იმედია, ნიჭიერი მსახიობი მალე კარგათ შეიქნება და შეავსებს ამ დანაკლისს...

საკვირველია ჩვენი საზოგადოების გულგრილობა და უსიცოცხლობა. პირველი წარმოდგენის შემოსავალი 250 მან., მეორესი—215, მესამესი 300, მეოთხესი 260 მ. ერთათ ერთი კულტურული დაწესებულებაა ქუთაისში—თეატრი და ამასაც ქუთათურები ასე გულცივათ ეპყრობიან. თფილისში კიდევ იტყვის ადამიანი: აი ოპერაა, რუსული დრამა, უფრო კარგათ დადგმული, უფრო სასიამოვნო და იქ ჯობია წასვლაო. მაგრამ ქუთათურები ნეტავ სად ამჯობინებენ წასვლას! კლუბში ან კერძო სახლში სადმე, რომ შემოუსხდენ მწვანე სტოლს და დატკბენ კარტის თამაშით.

საყურადღებოა ჩვენი თეატრების დღევანდელი კრიზისი. წინეთაც გვითქვამს, რომ ჩვენი მწერლობის და თეატრის მასაზრდოებელი დღეს ხალხია. ხალხი კი თხოულობს ქართულ წიგნებს და გაზეთებს, ხალხი დადის თეატრში. ის ორას-სამასი მანეთიც „უბრალო“ მაყურებლებისაგან არის (და მოსწავლე ახალგაზდობისაგან), თორემ თქვენი მტერი, ჩვენი საზოგადოება მარტო გამშრალი ინტელიგენტებისაგან შედგებოდეს. ჩავუკვირდეთ ამას... ამაზე ვრცლათ როდისმე შემდეგ, ახლა კი მოვილაპარაკოთ ზოგიერთა ნათამაშევ პიესებზე.

პირველათ, სხვათა შორის, ითამაშეს ორ მოქმედებიანი დრამა „ცხოვრება“ (გუნიას გადმოკ.). ახალგაზდა მწერალს ბედ,რულაძეს თავისი ძალღონე საზოგადოებისათვის სამსახურში დაულევია. ქლექით არის ავათ და ფული არა აქვს, რომ სადმე თფილ ადგილას გადასახლდეს დროებით. ტყუილათ ანუგეშებს მას საზოგადოების დახმარებით მისი მეგობარი... ბედკრულაძის ცოლი, ბაბო, უყვარს ვინმე თავადიშვილს და დარწმუნებულია დღემდის, რომ ბაბო ადრე თუ გვიან დათანხმდება მის სურვილს. ეს ეხვეწება ბაბოს, მიიღოს მისგან დახმარება. ბაბო მიდის თავადიშვილთან. იქ ნახავს მათ ავათმყოფი ბედკრულაძე, გაბრაზებული წყევლის ორივეს და კვდება. თვითონ დრამა თავათ შეიძლება არაფერია, მაგრამ უფრო დიდი დრამა აქ ის არის, რომ ეს ტანჯვა და სიკვდილი ხდება ჩვენს, საზოგადოების გარეშე, თითქო მას ჩვენთან არავითარი დამოკიდებულობა, არავითარი კავშირი არა ქონდეს. ავათმყოფი ბედკრულაძე ამბობს ერთს ალაგას: „საზოგადოებას ჩვენისთანები როდი უყვარს; მას ჩვენ უნდივართ, როგორც საჭირო ნივთი, როგორც გასართობი მასალა. საზოგადოებას რა ხელი აქვს ჩემ წვალებასთან, უბედურებასთან! სანამ ვარგივარ, კიდევ ჰო, ხოლო რაკი სიცოცხლის წვენს, გულის უკეთეს სისხლს და სულის უწმინდეს აღმაფრენას მას ვანაკვალებთ, მერე აღარ უნდივართ, აღარც ვახსოვართ!.. საზოგადოება ვემპია, სახამ ძალა აქვს, გვაფასებს, მერე, როცა წყუროვილს მოიკლავს, ლეშათ გვაქცევს, ტირილს და გოდებას მოყვება, იმიტომ კი არა, ვებრალებოდეთ, არა! რათ დაგვეკარგა, რატომ ცოცხალი არ არის, რომ კიდევ შეგვეძლოს მისი შეიანთქმაო!“. სხვას—არ ვიცით და ჩვენ კი აქ მწარე სიმართლეს ვხედავთ. კიდევ არ არის სავაებით თქმული. მეტათ საინტერესო კითხვაა საზოგადო მოღვაწის (ვხმარობთ ამ სიტყვას ვრცლათ) და საზოგადოების ურთიერთობა. ერთი ჩვენი პოეტი ხშირათ შეხებია ამ საგანს: საზოგადო მოღვაწეებს ღირსეულათ არ ვაფასებთ, შიმშილით ვკლავთ და რო მოკვდებიან, მერე დავიწყებთ ხმა მაღლა ტირილსო. ბევრმა უსაყვედურა პოეტს: კარგია, თავი ნუ მოგვაბეზრეო...

იესო მიყავდათ გოლგოთაზე და ფარისეველნი, იუდანი, მეტხორცნი, მძარცველნი, მტარვალები, შეაფურთხებდენ და დაცინოდენ მას!

ათი ათასობით ციხეებში ლპებოდენ, შიმშილისაგან

---

[8]) ეს ნიცშეს სიტყვები მოყვანილია ლუ ანდრეას-სალომეს წერილში.

*) ამ წერილის დაბეჭდვა უადგილობისა გამო დაგვიანდა. რედ.

კვდებოდენ, სიცივისაგან კანკალებდენ, დედას, ცოლს, შვილებს უარყოფდენ, სიცოცხლეს დაუსრულებელ ტანჯვათ იხდიდენ, რომ სიმართლე დაემკვიდრებინათ დედამიწაზე, გზა დაბნეული კაცობრიობისათვის თვალი აეხილათ!.. ვინ ჩამოთვლის მათ სახელს! ბევრნი არიან! განა ყველას აღნიშნავს ისტორია! ბევრი «უხილავია» მათგანი!

ფეხს ვერ გადავდგამთ, ხელს ვერ გავანძრევთ, თვალს ვერ ავახელთ, რომ ყოველთვის და ყველაფერში არ ვსარგებლობდეთ ამ პირების ნამოქმედარით; მათით გვიდგია სული; მათით ვარსებობთ, მათით, რომელთაც ჩვენთვის დალიეს თავის დღენი, ერთად შეაზავეს სული და გონება, სისხლი და ხორცი, მწუხარება და სიხარული, სიყვარული და იმედი და ჩვენ მოგვცეს ადამიანური ცხოვრება!..

რამდენი შეგვიმჩნევია მათგანი? რამდენი დაგვიფასებია ღირსეულად? რამდენი გაგვიგზავნია გოლგოთაზე?..

უკაცრავათ, თავი მოგაბეზრეთ!.. არა უშავსრა! მათი დრო წარმავალია, ისინი ვერ შეარყევენ სიმართლისათვის მებრძოლთ. დადგება სხვა დრო, მაგ., სხვა საზოგადოება. «გიყვარდეს მოყვასი შენი, ვით თავი შენი»— კაცთა ცხოვრების უმთავრესი პრინციპია და თაყვანსაცემი და სადიდებელი იქნება ის, ვინც მიუხედავათ ყოვლისა და ყველაფრისა ესწრაფვის ამის განხორციელებას.

—

«ურიას თვალები არა აქვს თუ? ურიას ხელები არა აქვს თუ? ან სხვა ასოები, აგებულობა, გრძნობა ან სხვა ვნება რამე?»—ეკითხებოდა შეილოხა—ყიფიანი (4 ნოემბრის წარმოდგენა) ქრისტიანს ლანსლოტს და მისი პირით ეკითხებოდა მთელი ებრაელთა ერი მთელ საქრისტიანოს, მთელ კაცობრიობას: «ისეთი საზრდოთი არ არის გამოზრდილი, როგორც სხვანი? იმ იარაღით არ დაიკოდება როგორც სხვანი? ისე ავათ არ გახდება, როგორც სხვანი! ისე არ მოკვდება? ისე არ შესცივა ზამთარში და ისე არ დაცხება ზაფხულში, როგორც ქრისტიანს! სადვისი რომ გვატაკონ ჩვენ კი არ გამოგვდინდება სისხლი! რომ მოგვწამლონ, ჩვენ კი არ დავიხოცებით?“.

განა როდისმე ასეთი კითხვა მიგვიცია ჩვენი თავისთვის, რამდენი უზომო მწუხარება და ტანჯვა მიგვიყენებია ებრაელებისათვის? რამდენჯერ მოგვპყრობივართ მათ, როგორც პირუტყვებს, კიდეც უარესათ! განა დღესაც ადამიანურ უფლებას ალვიარებთ ებრაელში? დღესაც არ გვესმის „ქვა ურიას?“ დღესაც არ გაგვიკვირდება: ებრაელმა რომ მოითხოვოს ის, რაც ჩვენთვის აუცილებლათ მიგვაჩნია?

როდესაც შეილოხა ამაყათ და მედიდურათ ამბობს: ვადგივარ კანონს; მე ვთხოულობ ჩემს უფლებას—ერთს გირვანქა ხორცს ანტონიოს მკერდიდანო,—ეს ბუნებრივია: აქ იგი შურს ეძიებს არა მარტო თავათ, არამედ მთელი თავისი ტანჯული ერის მაგიერ. ძაღლს მეძახოდით, პირში მაფურთხებდით, სარწმუნოებას შემიგინებდით, პალურს ამომკრავდით და სამაგიეროთ მე მადლობა უნდა გითხრათ? ეკითხება შეილოხა ქრისტიანს: ვის უნდა ერთმა გველმა ორჯერ უკბინოსო. ყოველდღე დამცირებული, გალახული იყო, დღეს მას უფლება აქვს —იგი ბატონია და უნდა ისარგებლოს ამ ბატონობით თავის მტრების დასასჯელათ! შეილოხა დანას ლესავს და ემზადება თავის წადილის ასასრულებლათ. „ურიამ შებრალება უნდა იქონიოსო“.

ათწილ უფრო დამცირებული, ვიდრე ჩვეულებრივ, ბატონის ტახტიდან ჩამოვარდნილი შეილოხა თავზარ დაცემულია: წელში მოიხარა, ხმას ვერ იღებს, კანკალს დაიწყებს და ტირილით გავა გარეთ... გებრალებათ, ნამეტანი გებრალებათ და სიძულვილი გებადებათ იმათამდი, რომლებიც ასეთ ყოფაში ჩააგდებენ მას და ველურ საქციელს აიძულებენ.

4 ნოემბრის წარმოდგენა 28 ოქტ. წარმოდგენასთან ერთად საუკეთესო საღამოებათ ჩაითვლება ჩვენ თეატრში, სრულის ყურადღებით და ინტერესით მოისმინა საზოგადოებამ პიესა. ანსამბლი არა ჩვეულებრივი იყო. შეილოხა —ყიფიანი ძლიერ მოეწონა საზოგადოებას, ლირის მერე ეს მეორე როლია, რომელსაც ასე საუკხოვოთ თამაშობს ნიჭიერი არტისტი. სხვებში ყურადღება მიიზიდა ქ. გვეტაძემ.

შექსპირის პიესის შემდეგ ითამაშეს „ირინეს ბედნიერება“. თფილისელებს მაინდამაინც არაფრათ მოეწონათ ეს დრამა; ქუთათურები კი აღტაცებაში მოვედით; იმერელმა აქტიორებმა შვენიერათ შეიგნეს იმერული ცხოვრება და ტიპები. საერთო სურათს სრული სიცოცხლე მიცა გამოცდილმა რეჟისორმა. მოთამაშეებში ნამეტურ კარგი იყო ბ. ბალანჩივაძე (ირინეს მამა). უეჭველია, არა ერთხელ ითამაშებენ კიდევ პიესას ამ სეზონში.

ჩ—

სამშობლოს ცაზე.

ორი რაინდი.—დევ უსტვინოს!—„უჩიტლური“ პროშტი.—ძმა ბიჭების მემოდნე.

წ.-კ. გამავრც. საზ. კრებებმა ბევრს აუშალეს ლაპარაკის სალერღელი, ბევრს გაუჩინეს საკამათო საგანი. თვით ომში ჩარეულთ ბურტყლ აღენილთ და სალათ გადარჩენილთ უკანასკნელი კენჭის ჩხარუნის შემდეგ ხმალი თაროზე შეაგდეს და მით გაათავეს ბრძოლა, მაგრამ იმათ შემდეგ სხვებმა განაგრძეს ომი ომის შემდეგ. ამისთანა მეომართა შორის უფრო საყურადღებონი არიან გაზ. „ივერია“ და „ნოვოე ობოზრ.“. თურმე ეს ორი რაინდი შეყვარებული ყოფილან და ეს კი არავინ არ იცოდა! მათ ერთი და იგივე სატრფო ყოლიათ და აი ამაზე მოსდით ცილობა. «ივერიამ» „საამიკოთ სალაღობოთ“ სატრფოს წარმოუგზავნა ელჩათ ბ-ნი Plebs-ი. ამ რაინდმა რამდენიმე რევერანსის შემდეგ გამოაცხადა, „ჩვენ დიდი ხანია გვიყვარს ჩვენი «ახალთაობა», «ახალთაობის დამოუკიდებელი პიროვნება ჩვენთვის უფრო ძვირფასია (ვიდრე „ნოვოე ობოზრენიესთვისაო“), მაგრამ ამ ზნეობრივ ძალას (ე. ი. დამოუკიდებლობას) კი არ ებრძვიან (ე. ი. ძველი თაობა), არამედ ზოგიერთ შეცდომას, რომელიც პრაქტიკულ ცხოვრებაში მიუცილებლათ თან სდევს გამოუცდელ ახალგაზდობას, თვით ასეთს ბრძოლას იწვევს სიყვარული და იმედი, რომელიც ახალთაობისაკენ მიმართულია» და სხვ. და სხვ. სულ ამისთანა გრძნობათა კონა ახალგაზდობისადმი! გესმის და არა გჯერა, გინდა დაიჯერო და გეცინება, გეცინება, რადგან ამას ლაპარაკობს «ივერია»! ეჭვი არ არის აქ სულ სხვა ახალთაობაზეა ლაპარაკი, რადგანაც არავის ეჭვი არ შეუტანია «ივერიის» სიყვარულში იმ ახალთაობისადმი, რომელიც მხოლოთ წვერებისა და ულ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვაშების წლოვანებით განირჩევა „ივერიისაგან“. მაშასადამე, «ივერიას» შეყვარებია სულ სხვა „ახალთაობა“, ის «ახალთაობა», რომელსაც ის აქნობამდე თვისი ზიზღისა და ლანძღვის მეტს არას თავაზობდა. ჰოი, ცაო სამშობლოსაო, ნუ მოაკლებ მთვარიან ღამეს შეყვარებულ რაინდს, და განაცისკროვნე ეს ახალი საკვირველება შენ ღრუბელთა შორის! მოგეხსენებათ, შეყვარებული ცოტა ვერ არის ხოლმე თვის ნიადაგზე და რაღაც ნაირათ გულთან ტვინიც უხტუნავს, ამიტომ ხშირათ, ვითარცა რაინდი, განსაცდელში ვარდება და თავს წირავს სატრფოს. «ნოვოე ობოზრენიეს», ამ მეორე რაინდს, შეშურდა პირველის სიყვარული და გამოაცხადა «право давности». მან ასე უპასუხა «ივერიას»—ბატონო რაინდო, შენ სტყუი და ცბიერობ, მე კი მართლა რო გულით მიყვარს და დიდი ხანიც არის, რაც მიყვარდაო.

— ჰაი შე „ბურჟუავ“, შენა! აბა როგორ გეყვარება შენ იმისთანა ლატაკი პატარძალი, შენ ხო ფულების მოტრფიალე ხარ!—მიაძახა „ივერიამ“.

— ჰაი შე „ივერიავ“, შენა,—გალანძა «ნოვ. ობოზრენიემ»,—მე ვარ ლიბერალი, რადიკალი... და სხვა და სხვა... სულ ამისთანა საშინელება! და შენ კი, შენ კი მხოლოთ ფეოდალი!

— „ახ, ნეტავი იმ დღეს შემასწრო, რო «ივერიის» რედაქტორს „ნოვოე ობოზრენიეს“ რედაქტორის ისტორია დაეწეროს!“ *) ინატრა „ივერიამ“ და დაემუქრა.

არ ვიცით სანამდის გაგრძელდება ამისთანა ბრძოლა, მაგრამ სიყვარულის „ეთიკა“ მოითხოვს დაეკითხონ თვით სატრფოს: სურს თუ არა ან ერთი და ან მეორე. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ ამ ორ რაინდს ვერ გაურჩევიათ კარგათ ერთმანეთი, თორემ თვით გადაიწერდენ ერთიმეორეზე ჯვარს აქნობამდის და ჩვენ კი ქორწილში მიგვიპატიჟებდენ!

*
* *

იმ დროს, როდესაც ეს ორი შეყვარებული ხმალში ითხოვენ ერთმანეთს, „არგონავტი“ კვნესით მიჩანჩალებს ზღვაზე და თვალს არ აშორებს იმ «ფინანსის კუნძულს», რომელიც ცსრეთ წოდებულ «გაზეთების ოკეანეში» არის მომწყვდეული. მან თვის გემს ერთი ფარანიც კი მოუმატა, რომ უკეთ გაეკვლია გზა ამ სანატრელ ადგილამდე. ეს ფარანი მისი ყოველ კვირის რეისის ყოველ დღიური დამატებითი ასკინკილაა. მიდის და მიკინკილობს არგონავტი, მაგრამ მის «პასაჟირთა» მცირე გუნდს რომ არ მოეწყინოს, გასართობათ მოუწვევია «ზოილის» ორკესტრი. როგორც ეცნევა, მუსიკა წყალში დასველებია ბ. «ზოილს», რადგანაც მეტის მეტათ ჟანგიანი ხმით უკრავს! ამის გარდა მას სულ სხვა გემოვნება ჰქონია, ვიდრე ზემოხსენებულ ორ რაინდს. იმათ თუ შეყვარებიათ და ცილაობენ „ახალთაობაზე“, ზოილს ისინი შეძაგებია, შეძულებია და ვინ იცის თვისი გულის მოსაფხანათ რას არ უძლვნის მათ! ისინი თურმე სულ „დურაკები და იდიოტები“ ყოფილან, და თუ აქნობამდე ეს ვერავის შეუმჩნევია, მხოლოთ იმიტომ, რომ ჯერ თვით ზოილიც სხვაფრივ აპირებდა მუსიკის მომართვას და მეორეც, არც «არგონავტი» შეცურებულიყო „ზოილის“ მეოხებით სიბრძნის ოკეანეში. დაგვილოცნია გზა როგორც ამ უცნაურ გემისთვის, ისე მისი ორკესტრისთვის. დარწმუნებული ვართ «ბაგაჟი» არ დაამძიმებს და შეუძლია არხეინათ უსტვინოს და უსტვინოს!

*
* *

რახან სიყვარულზე ჩამოვარდა ლაპარაკი, მე მინდა გავიხსენო ერთი «უჩიტლური პროშტი». ამისთანა «პროშტი» ქუთაისში ცოდნიათ. და ურიგო არ იქნება ქუთათლებმა ცალკე კათედრა დაუარსონ მის გამომგონს. ეს გამომგონი გახლავთ იქაური სასწავლებლის ერთი პედაგოგთაგანი (არა გვანებია კავკავის ხელ-კეტიან „უჩიტელს“). იმ დროს, როდესაც ერთი სასწავლებლის სასარგებლოთ გახურებული „ვეჩერი“ ყოფილა, არეულა ერთმანეთში ვალსი, პოლკა, „ლეკურკა“, მაზურკა და სხვ., ხსენებულ მასწავლებელს გული აღიტინებია და მისულა ბუფეტის დაზგასთან, ვინაიდან დაზგას იქით მდგარა რომელიმე ბანოვანი. --რა გნებავთ? შეეკითხა ბანოვანი.

— თქვენი პროშტი!—იყო მოკლე პასუხი. ისტერიკა სილაქტკიცა და რიტორიკა აირია ერთმანეთში ამის შემდეგ და საწყალ პედაგოგს გაუფუჭეს მთლათ შვენიერი «პროშტზე» მოსული გუნება. „Я только къ ручкѣ хотѣлъ приложиться“-ო, ბურდღულებდა თურმე უბედური რაინდი, მაგრამ ვინ გაუგონა! ეცნევა პედაგოგიურ უსტავში სხვა-და-სხვა ადგილი უჭირავთ ლოყაზე კოცნას და ხელზე ამბორებას!

*
* *

ქუთაისის „უჩიტელი“ თუ „პროშტების“ უსტავებს ადგენს, არც თფილისი ჩამოურჩება მას მოდების გამოგონებაში! ერთი ამისთანა მემოდნე გამოჩნდა მუზეუმში კი არა და ქართულ თეატრში წარსულ კვირის წარმოდგენაზე. მოგეხსენებათ, კვირაობით ბილეთების ფასი დაკლებულია და თეატრს მდაბიო ხალხი ბლომათ აწყდება, ასე რომ ქანდარის რამდენიმე სტუმარი იძულებულია უადგილობისა გამო მოთავსდეს პარტერში. ამ დღეს აჭრელდება ხოლმე ჩვენი თეატრის პარტერი. სერთუკოსნებს გვერდში ამოუჯდება რომელიმე ყარაჩოღელი ბიჭი და ოდეკალონის სუნს აზავებს ავლაბრის სირაჯხანების რუმბების მუშკამბარი. დეკოლოტოსნებს გვერდს უშვენებენ ყარაჩოღელთა პატარძლები და რუსულათ ჟრიკჟრაკთან ერთათ მოისმის „ჯან ბიჭო! ვა, ვა! გაუსვი მაგას!“ მეტადრე თუ სცენაზე ხმალი ან მუშტი გამოჩნდა! აი სწორეთ ეს სურათი არ მოწონებია ერთი ჯურის წესრიგის დამცველს და ხსენებულ სალამოს მიუმართავს „ძმა ბიჭებისთვის“, რომ პარტერი მათი ადგილი არ არის, რომ რცხვენია სერთუკს და დეკოლტეს მათი ყარაჩოღული ჩოხების გვერდზე ამოდგომისა და რომ საჭიროა ან მოდა გამოიცვალონ, ან არა და აღარ იარონ თეატრში. პირველ წინადადებაზე „ძმა ბიჭებს“ უარი განუცხადებიათ, ხოლო მეორეზე კი დათანხმებულან და უთქვამთ, «ჩვენ გვინდოდა, როგორც ქართველებს, გვევლო ქართულ თეატრში, თორემ ნიკიტინის ცირკში უფრო პატივს გვაძლევენო». ზოგ მათგანს კი განუზრახავს მომავალ წარმოდგენაზე შევიდეს ფრაკით და ცილინდრით, როგორც ეს ურჩევია უადგილო ადგილას შემოჭრილ ქუჩის წეს-რიგის დამცველს. ამიერიდან ერთი საზრუნავი კიდევ გაუჩნდა ჩვენი თეატრის გამგეობას: ან მოიშოროს ამისთანა არა მკითხე მოწესრიგე, ან არა და თავი-

*) იხ. „ივერია“ № 252.

სი ხარჯით შეუკეროს «ძმა ბიჭებს» ფრაკები, თუ არ უნდა, რომ თეატრი კვირაობითაც ცარიელი იყოს ხოლმე.

რიგოლეტო.

ᲝᲠᲘᲝᲚᲓᲔ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ ᲐᲙᲔᲗᲘᲡ ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲨᲔᲜᲝᲑᲠᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

(წერილი რედაქციის მიმართ).

ხუთი წელიწადი იქნება სწორეთ, რაც აკეთის საზოგადოებამ აკრა სკოლისთვის შენობა. შენობა შედგება შვიდი ოთახისაგან; ამათში სამი კლასის ოთახია, დანარჩენი ოთხი მასწავლებლოთვის. ეს შენობა საზოგადოებას ოთხი ათას მანეთამდე დაუჯდა. სამწუსაროთ, ამ შენობას დიდი ადგ ადარ დარჩენია, ის ამ მოკლე ხანში სრულიად დაღეცა და დანგრევა და მით საზოგადოება საგრძნობელ ზარალს ნახავს. სკოლის ოთახებში ისე წვიმს, როგორც გარეთ. შენობას საბურავი დიდი ხანია გაუფუჭდა, მაგრამ სოფლის მოთავე კაცებატონებს ეურიც არ გაუხმარეთ. მოგესსენებათ, გურიაში ხშირი და მასთან ძლიერი წვიმები იცის, აი ამ დროს მოზრძანდით აკეთის სკოლაში, შეისედეთ საკლასო ოთახებში და ნახავთ შემდეგს: კლასის ოთახი წარმოადგენს ბატარა ტბის, ტბაში მოსწავლეების მაგიდებს და სკამებზე სიტიბისაგან დაღეურეებულ მოსწავლე უმწეოდებს. მეითხოვდი ადვილათ წარმოიდგენს იმას, თუ რა აუწერელ გაჭირვებაში უნდა იყვენ აკეთის სკოლის მოსწავლეები მასწავლებლებითურთ ზამო აწერილი შენობის წყალობით. საჭიროა აკეთის სკოლას გულშემატკივარი აღმოუჩნდეს, საჭიროა სკოლის შენობა შეკეთდეს იმდენათ, რამდენათაც შესაძლებელია. სრული იმედი გვაქვს აკეთის სკოლის მზრუნველი ბ. ბ. თოსაძე, რომელიც დღეს მაძასასლისათაც არის, ამ გარემოებას ჯეროვნ ეურადღებას მიაქცევს, რითაც მასწავლებლებს და მოსწავლეებს შეუმსუბუქებს ტანჯვას, ხოლო საზოგადოებას მოუტანს სარგებლობას. შეიძლება და დარწმუნებულიც ვარ, ამ წერილის წყალობით მომდერავიც აღმოჩნდეს ვინმე აკეთში და შეუკერების მაგიერათ შეიძულოს კიდეც, მაგრამ რა ვქნა, სიმართლისთვის თუ ენდათ ჩამოვსრჩონ.

მასწ. კოწია ᲬᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

ქართული თეატრი.

ქართულ დრამატიულ საზოგადოებას ვერ დავწამებთ, რომ არ იცის თეატრში მოსიარულე საზოგადოების გემოს აღმოს აღება. ვერ დავწამებთ ვერც იმას, რომ მას არა ქანდეს შეგნებული ქართული ტრუპის ძალღონე; ბრიქით მას კარგათ გაუტანია ორივე ზემოთ დასახელებული ბრალბანი, და მასაც შესაფერათ დგამს კიდეც ბიესებს ქართულ სცენაზე. მაგრამ ეს მაინც სრულებით იმას არ ნიშნავს, რომ წარმოდგენილი ბიესები კარგია, ან კარგათ თამაშობდენ ჩვენი არტისტები. გარდა რამდენიმე ბიესებისა («ავათ-ყოფნა», „ვენეციელი ვაჭარი“), საზოგადოთ ჩვენს სცენაზე ამ სეზონში ორი კატეგორიის ბიესები იდგმება. ერთ კატეგორიას ეკუთვნიან ქართული ისტორიული დრამები, მეორეს გადმოქართულებული კომედია-ვოდევილები. ესენი წოდებულ ქართულ ისტორიულ დრამებში მეუფრებული ეერასა ნახავს ისტორიულს, გარდა მეფეების ან ფეოდალების სახელებისა. თვით მოქმედნი ბიესნი იკერგებიან თოფ-ზარბაზნების ბუქა-ქუხილში და შეუწყვეტელ სისხლის ნაკადულებში. არც ერთი ტიპი, არც ერთი დროის და ცხოვრების დამახასიათებელი სურათი. ეოველი იმითგანი ერთ კალეიდოსკოპია ჩამოსხმული; ქართველი კომეტა თათარს, იმერელს მტერე გუნდით რამდენსამე ათასზე და სამშობლო-კი მაინც ეოხრებული რჩება; ქება ქართველი მეომრებისა, გულგაუტეხლობა მათის წინამძღვარ თავადებისა — აი საზოგადო სიუჟეტი ეოველი ამ ისტორიულ დრამისა. ისინი ეველა ერთმანეთის გვანან და თუ არ სხვა-და-სხვა ხასელები მოქმედი ბიესებისა, ვერ გაიგებს მაეურებელი, რომელ ბიესს თამაშობენ მის თვალწინ: „სამშობლოს“, «მტარვალს», „ტაბის სიდუმლოს“ თუ „შვილის ტოდოსათვის“. ამ გვარ ბიესებში, სადაც ეეფრო მეტს ტრაბალებს თოფ-ზარბაზანი, არტისტს მხოლოთ ისღა დარჩენია ირტყას სელები გულში, ეშეეფროს მტერს, შეიჭრას ომში და სხვ. სასიქადულოთ ჩვენის არტისტების ენდა ვთქვათ, რომ ეველა ამას ისინი კარგათ ასრულებენ. აქ როლი არ თამაშობს მათგან რამე ფსიქოლოგიურ გასაგეთრებელ მომენტის დასეურათებას.

რაც შეესება მეორე კატეგორიის ბიესებს, ე. ი. კომედია-ვოდევილებს, ესენი ეეფრო შინაარსიანი არიან შედარებით. და თვით დღევანდელ ქართულ თეატრის არტისტებს ეეფრო ეხერხებათ კომედიების თამაში, ვიდრე დრამებისა; ქართულ ორიგინალურ კომედია-ვოდევილებში ისინი საეცსოგონი არიან; სოდო გადმოკეთებულ ან გადმოთარგმნილებში კი რაღაც ორეეფობა ეტეობა. ისინი ნახევრათ თამაშობენ ქართველს, ნახევრათ კვროპელს ენრეს, იმისდა მისედვით, საიდან არის გადმოღებული ბიესი. მაინცა და მაინც სასურველია, რასან დღევანდელ, ქართულ ტრუპის ანსამბლი ეეფრო კომედიებს ეწეობა, ვიდრე დრამებს, ეეფრო საეკეოესო და შინაარსიანი კომედიები გვიჩვენონ ხოლმე.

═

სწორეთ ამ ზემოთ დასახელებულ ორი კატეგორიის ბიესები წარმოგვიდგინა ქართულმა სცენამ წარსულ ხუთშაბათს. მეტი იქნება გადავცეთ მკითხველს შინაარსი ვ. გუნიას დრამატიული 3 მოქმედებიანი ეპიზოდისა «შვილის ტოდოსათვის». თათარი კომეტა ქართველს, მიუსედავათ მისი სიგმირისა მაინც მარცხდება და იღუპება რამდენიმე ადალ-მართალი ადამიანი. აი მთლათ მისი სიუჟეტიც და შინაარსიც. ბენეფიციანტიდან დაწყებული უკანასკნელ არტისტამდე ერთობ ეველა კარგნი იყვნენ, ე. ი. ისეთებიეე, როგორსაც ჩვენ ვხედავთ სოდმე მათ „სამშობლოში“, «მტარვალში», „ტაბის სიდუმლოში“ და სხვ. მაგრამ მოგვწყინდა მატიანეში ჩვენ ამ ნაირი მათი სიკარგე. თუ თეატრი სკოლაა, ჩვენ ვთხოეულობთ ეეფრო შინაარსიან და თავადის ანასიდებელ ბიესებს. რა ეეოთ, რომ ზარბაზნის სმაზე სადხი ღელავს, ტაშს ეეფრავს, და თვითაც ერნის გული სიგმირათ, სამაკიეროთ მის რაღა თეატრიდან გადის არა მაინც-რა თან, გარდა სმენ-ზარბაზნების ხმისა! რაც შეეხება ვოდევილს „არაკ-დარაკ“, ეველა ერთობ კარგა თამაშობდენ; სოდო ეველაზე საეცსოგო იყო ივანიკას მსახურის როლში ბ-ნი აწეურელი. საამოვნებით აღვნიშნავ, რომ ბ-ნ აბაშიძის შემდეგ კიდევ ჭეაკს ჩვენ სცენას ერთი საეცსოგო კომიკი. კარგი იყო თვით ბენეფიციანტი ბ-ნი გაძურელიძე გატეტეცებულ და «ჩეკმებზე» გადარეულ «ოსტაკაში» გამოსულ კაპიტნის როლში. გადაჭრით შეგვიძლიან ვთქვათ, რომ ეს ორი არტისტი დამაშეკნებელნი იქნებიან ჩვენი სცენისათვის მომავალშიაც. სხვათა შორის თავლსაჩინოთ შასრულა თავისი როლი ბ. გუნიამ (ეპიზოდში).

დიკერტისმენტში ბეური ასიამოვნეს საზოგადოება ბ-ბმა აკაკიმ, მგალობლიშვილმა, შათირიშვილმა, ურუშაძემ და ბოლოს გაბუნია-ცაგარლისამ თვისი სიმღერებით, რომელიც ხში-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რათ გაუგონია ჩვენ საზოგადოებას და მაინც ეოველთვის სიამოვნებით უგდებს ყურს.

არ ვიცით ვისთვის რა საჭიროა სტენაზე ლეკურის თამაშობის ნახვა. ამას ისედაც ხშირათ ვხედავთ ჩვენ „მოქეიფე“ დროში.

ᲭᲚᲔᲥᲘᲡ ᲡᲐᲛᲔᲤᲝ.

1899 წ. ბ. გეგარდმა ბერლინის კონგრესზე მოიყვანა შემდეგი გულსაკლავი ფაქტი; გერმანიაში ყოველ წლობით ქლექის მსხვერპლია 112.000 ადამიანი და ამ რიცხვიდან 80.000 ეკუთვნის მუშათა კლასს. ქლექით გადაცვალებულთა რიცხვი იმდენათ უფრო მეტია საზოგადოების თითოეულ კატეგორიაში, რამდენათაც ორთაშუა თითოეულ კატეგორიის შემოსავალი ნაკლებია. ამას ამტკიცებს შემდეგი ციფრები. ჰამბურგში ყოველ 10,000-ზე ქლექით კვდებოდა:

10.7,			